დამტკიცებული
საქართველოს მთავრობის
2010 წლის 28 დეკემბრის
№ 1756 განკარგულებით

ყოვლისმომცველი სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა სურსათის უვნებლობის სფეროში

მოკლე მიმოხილვა

სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიასა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამაში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიზანი, რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროს იურიდიულ და ინსტიტუციურ დახვეწას და საქართველოში ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვას მოიცავს.

ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შემუშავება. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შეიქმნა სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და შეიმუშავა სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგია (შემდგომში – სტრატეგია) და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, რომლებიც იქნება საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა სახელმძღვანელო დოკუმენტი მოკლე და გრძელვადიან პერიოდში. სამუშაო ჯგუფის მიერ

აღნიშნული სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შემუშავება 2009 წლის მაისიდან 2010 წლის ოქტომბრამდე მიმდინარეობდა.

სტრატეგია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის აღწერა;
- საქართველოში სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის შემოღება;
- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის დაწესება;
- საკანონმდებლო და ინსტიტუციური ნაკლოვანებების ანალიზი და სამომავლო საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამის ვადები და მისი იმპლემენტაცია;
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ამ სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის მეშვეობით საქართველოს მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების თაობაზე. ასევე, საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის საფუძველზე მოხდება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული დებულებების თანდათან დანერგვა და იმპლემენტაცია.

საქართველოში არსებობს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით ძირითადი საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური სტრუქტურები. ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვის დაწყებისათვის საჭირო საკმარისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არსებობს. თუმცა, ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სურსათის უვნებლობის სისტემის დასანერგად საჭიროა კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და ადამიანური და ინსტიტუციონალური რესურსების გაზრდა.

ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა შემდეგი მიდგომა: დაიწყო „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედება, კერძოდ, სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოთა/დისტრიბუტორთა (შემდგომში – ბიზნესოპერატორი) რეგისტრაციასა და ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული მუხლები. 2010 წლის თებერვალში ბიზნესოპერატორების რეგისტრაცია დაიწყო. ეს პროცესი მოქმედი ბიზნესოპერატორებისათვის 2010 წლის ბოლოს დასრულდება, რის საფუძველზეც ბიზნესოპერატორების მონაცემთა ბაზა შეიქმნება.

2010 წლის ივლისში სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის შეჩერებული მუხლების ამოქმედება დაიწყო, კერძოდ: ბიზნესოპერატორის ინსპექტირებასა და მიკვლევადობის კონტროლთან დაკავშირებული მუხლები ამოქმედდა. შედეგად, „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის შეჩერებული მუხლები ძალაში შევიდა. პირველ ეტაპზე, 2010 წლის ივლისიდან, ინსპექტირების განხორციელება სავალდებულოა ევროკავშირში ექსპორტიორი ბიზნესოპერატორებისათვის; მეორე ეტაპზე, 2011 წლიდან, ინსპექტირებასა და მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები სავალდებულო გახდება ყველა ბიზნესოპერატორისათვის, მათ შორის, მაღალი რისკის სურსათის მწარმოებლებისათვის, ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა და სხვა საწარმოებისათვის.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ამოქმედებასთან ერთად, საქართველოს მთავრობა ეტაპობრივ მიდგომასაც შეიმუშავებს: საწყის ეტაპზე, 2010 წლის ივლისიდან, უზრუნველყოფილი იქნება სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის მიხედვით განხორციელებული ძირითადი შემოწმებების ეფექტიანი იმპლემენტაცია. ამის პარალელურად საქართველოს მთავრობა თანდათან

განახორციელებს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის მიახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისი ინსპექტირების განხორციელებისათვის სრული საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით.

საქართველოს მთავრობის მოკლე- და გრძელვადიანი პრიორიტეტებისა და ქმედებების განსაზღვრის მიზნით სტრატეგია ითვალისწინებს ინსტიტუციური და საკანონმდებლო ნაკლოვანებების შეფასებას და მათი აღმოფხვრისათვის მომავალი საჭიროებების იდენტიფიცირებას ახდენს. შესაბამისად, სტრატეგია მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამას ძირითადი/ჰორიზონტალური დირექტივების კუთხით. საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, თავის მხრივ, მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის მიახლოებისათვის საჭირო იურიდიული და ინსტიტუციური ნაკლოვანებებისა და რესურსების შეფასებას, ტრენინგებს, ნორმატიული აქტების ძალაში შესვლისა და აღსრულების ვადებს.

საკანონმდებლო მიახლოების ვადები დაფუძნებულია რეალურ შესაძლებლობებზე, რომლებიც ევროკავშირის კანონმდებლობის (EU acquis) კომპლექსურობასა და სამთავრობო ინსტიტუტებისა და ბიზნესწრეების იმ საჭიროებებს ითვალისწინებს, რომლებიც საქართველოში სურსათის უვნებლობის საფუძვლიანი და თანამედროვე სისტემის დასანერგად არის საჭირო.

საქართველოს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის ძირითად/ჰორიზონტალურ რეგულაციებთან 2014 წლისათვის დასრულდება. ამის პარალელურად, მოხდება საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან ეტაპობრივი მიახლოება და იმპლემენტაცია.

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესის პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ პროდუქტებს, რომლებზეც გავრცელდება ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები. პრიორიტეტული პროდუქტები იდენტიფიცირებული იქნება ისე, რომ ხელი შეეწყოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გააქტიურებასა და საქართველოს პოტენციალის განვითარებას. პრიორიტეტულ პროდუქტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მიახლოება 2011 წლიდან 2012 წლამდე განხორციელდება. აღნიშნული პროცესის მეორე ეტაპზე ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის მიახლოების რიგითობა სხვა ტიპის პროდუქტებისათვის განისაზღვრება ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამის შემუშავებისას.

I. შესავალი

საქართველოს მთავრობა გამოხატავს ჭეშმარიტ პოლიტიკურ ნებას სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკომისიისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

სტრატეგიის მიზანია: ა) საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტების ანალიზი და მოსალოდნელი საჭიროებებისა და ხარვეზების დადგენა; ბ) საქართველოში სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დასანერგად საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ნაბიჯების აღწერა; გ) სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დასანერგად საჭირო პრინციპებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება; დ) სურსათის უვნებლობის სისტემის თითოეული კომ-

პონენტის დანერგვასთან დაკავშირებული საჭიროებების, მიზნებისა და ბარიერების იდენტიფიცირება; ე) აღნიშნული სისტემის დანერგვისათვის საჭირო ეტაპებისა და ვადების განსაზღვრა.

სწორედ ამ მიზნით სტრატეგიასთან ერთად დამტკიცდა საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა, რომელთაც თან ერთვის სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის მოსამზადებელი პროცესის აღწერა (დანართი).

სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შემუშავებისას საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ევროკავშირის რეკომენდაციები. სურსათის უვნებლობა არის პრიორიტეტული საკითხი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მართებულად ფუნქციონირებისათვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიზანია საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან მიახლოება.

სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბებასა და საქართველოში სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვას ითვალისწინებს.

სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა მომზადებულია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შექმნილი სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ.

სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა მოქნილი დოკუმენტებია და იმპლემენტაციის პროცესში შესაძლებელია მათი განახლება. სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის იმპლემენტაციისას სურსათის უვნებლობის სისტემის

განვითარების უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს, მიღებული გამოცდილებისა და საერთაშორისო საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, შეუძლია პერიოდულად შეასწოროს ეს დოკუმენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო ჩარჩო პერიოდულად იცვლება. აქედან გამომდინარე, საქართველო შეიმუშავებს დინამიკურ მიდგომას, რათა შესაძლებელი იყოს ევროკავშირის კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინება.

სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის ძირითადი პრინციპებია:

- **სურსათის უვნებლობის სისტემის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან მიახლოება,** საქართველოს სოფლის მეურნეობის ბაზრის სტრუქტურის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით;
- **საქართველოში კონკურენტუნარიანი და დინამიკური სოფლის მეურნეობის სექტორის შემქნა;**
- **სახელმწიფო კონტროლის შემოღება, რომელიც დაფუძნებული იქნება პრინციპზე „ფერმიდან სუფრამდე“,** რაც ნიშნავს, რომ შემოწმდება ფერმიდან საბოლოო მომხმარებლამდე არსებული მთელი ჯაჭვი;
- **მომხმარებელთა დაცვის ადეკვატური დონის არსებობა;**
- **ევროკავშირის ჰორიზონტალურ კანონმდებლობასთან ეტაპობრივი მიახლოება:** საქართველოში სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვისას გამოყენებული იქნება საკანონმდებლო მიახლოების ეტაპობრივი მიდგომა. შესაბამისად, ევროკავშირის სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ეტაპობრივი იმპლემენტაციისას გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო სექტორისათვის

გარკვეული პერიოდი, რათა მათ ადეკვატურად აითვისონ საკანონმდებლო მიახლოებით გამოწვეული მოთხოვნები;

- **ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოება პროდუქტების მიხედვით:** სურსათის უვნებლობის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოება და მისი იმპლემენტაცია განხორციელდება პროდუქტების მიხედვით; 2011 წელს შემუშავდება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამა;
- **სპეციალური გამარტივებული მარეგულირებელი სქემები დაწესდება კონკრეტული კატეგორიის ბიზნესოპერატორებისათვის, როგორც ეს ევროკომისიის No 852/2004 და No 853/2004 რეგულაციებშია მითითებული.** სურსათის უვნებლობის გამარტივებული მოთხოვნები იმ მცირე ბიზნესოპერატორებზე გავრცელდება: 1) რომლებიც იყენებენ პროდუქტის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ტრადიციულ მეთოდებს. 2) რომლებსაც აქვთ არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. 3) რომლებიც ადგილობრივ მომხმარებელს უშუალოდ ამარაგებენ მცირე რაოდენობის სურსათით. გარკვეული კატეგორიების ბიზნესოპერატორთა იდენტიფიცირება მოხდება რისკის ანალიზის საფუძველზე. გარკვეული კატეგორიების ბიზნესოპერატორეზე გამარტივებული მოთხოვნების გავრცელებამდე განხორციელდება რისკის ანალიზი;
- **სურსათის უსაფრთხოების ადეკვატური დონის შენარჩუნება და უზრუნველყოფა:** სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის იმპლემენტაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი შესაძლო გავლენა მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიის მიზანია სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვასა და სურსათის უვნებ-

ლობის კანონმდებლობის შესაძლო სოციალურ გავლენას შორის ბალანსის პოვნა.

სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის სრული იმპლემენტაცია 2014 წლისათვის დასრულდება, როგორც ეს საკანონმდებლო მიახლოების პროგრამაშია მოცემული.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მოსამზადებელი ფაზა დასრულებულია, საქართველოს მთავრობამ სურსათის უვნებლობის სფეროში სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის ჩამოყალიბებისათვის შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

- **სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა ევროკომისიის შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა.** სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა ევროკომისიის იმ რეკომენდაციებზეა დაფუძნებული, რომლებიც 2008 წლის ოქტომბერში ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისიის ჩატარების შედეგად შემუშავდა საქართველოსათვის. ფაქტების შემსწავლელი მისიის მიზანი ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებისათვის საქართველოს მზადყოფნის შეფასება იყო. ევროკომისიამ საქართველოს აღნიშნული რეკომენდაციები მიაწოდა 2009 წლის მარტში. სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შემუშავების პროცესში საქართველოს ხელისუფლებასა და ევროკომისიის სამსახურებს შორის ორი ტექნიკური შეხვედრა, ერთი ვიდეოკონფერენცია და მრავალი არაფორმალური კონსულტაცია ჩატარდა.
- **სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში შეიქმნა.** იმისათვის, რომ სტრატეგიისა და

საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შემუშავების პროცესში შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტები და სააგენტოები ჩართულიყვნენ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ინიციატივით შეიქმნა აღნიშნული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი. სამუშაო ჯგუფის ამოცანებია:

- სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული საერთაშორისო და ევროპული გამოცდილების/მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი;
- საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კანონმდებლობის ანალიზი და მოსალოდნელი ხარვეზების იდენტიფიცირება;
- სურსათის უვნებლობის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრა;
- სურსათის უვნებლობის სისტემის განვითარებისათვის სტრატეგიის შემუშავება და მისი იმპლემენტაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინირება;
- საქართველოს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ეტაპობრივი იმპლემენტაციის თაობაზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;
- ევროკავშირის მიერ მოწოდებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მონიტორინგი და შეფასება.

სამუშაო ჯგუფის წევრები არიან შემდეგი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქარ-

თველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური (შემდგომში – ეროვნული სამსახური); სსიპ – შემოსავლების სამსახური.

- **ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე, სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის დასახვეწად გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება.** კერძოდ, ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული ესტონელი და ფინელი ექსპერტები, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA), ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC) და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia) ჩართულნი იყვნენ საკანონმდებლო და ინსტიტუციური ნაკლოვანებების შეფასებასა და სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის გარკვეული ნაწილების შემუშავებაში. GEPLAC-ის დახმარებით ჩატარდა მთელი რიგი სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები.
- **სურსათის ბიზნესოპერატორების კვლევა.** სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ საქართველოს მთავრობის მეტი ინფორმირებისა და ასევე კერძო სექტორისათვის დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჩატარდა სურსათის ბიზნესოპერატორების კვლევა. კვლევა ჩატარდა საქართველოში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) დახმარებით, რომელმაც დააფინანსა ტექნიკური დახმარების პროექტი – „სამეწარმეო გარემო საქართველოში“ („Business Enabling Environment in Georgia“).

კვლევის მიზანი იყო საქართველოს მთავრობის დახმარება სურსათის უვნებლობის კონტროლის მექანიზმის სწორ და შეუფერხებელ ამოქმედებაში, რომელიც „სურსათის უვნებლობისა და ხარის-

ხის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2010 წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანი იყო: სურსათის გადამუშავების სექტორში არსებული საწარმოების, წარმოების დონის, პროდუქტების მიხედვით იმპორტისა და ექსპორტის, საიმპორტო და საექსპერტო ბაზრების, ექსპორტის დამაბრკოლებელი ასპექტების, სურსათის უვნებლობის კუთხით არსებული გამოცდილებისა და სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის სრულად ამოქმედებასთან დაკავშირებული ხარჯების მკაფიო სურათის შექმნა. სურსათის უვნებლობის სფეროში მოღვაწე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით შეიქმნა კითხვარი; 2009 წლის ივნისში დაიწყო კვლევა; 2010 წლის იანვარში დაინტერესებულ პირებს კვლევის საბოლოო შედეგები მიეწოდათ.

სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის მომზადების პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა ბიზნესოპერატორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან. შეხვედრების მიზანი იყო:

- დაინტერესებული პირების მიერ სურსათის უვნებლობის სფეროში პოლიტიკის ჩამოყალიბებსათან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების საქართველოს მთავრობისათვის მიწოდება;
- სოფლის მეურნეობის სექტორის პრიორიტეტებისა და სირთულეების გაცნობა.

გარდა ამისა, იმართებოდა მთელი რიგი შეხვედრები საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტების წევრებთან.

II. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმოხილვა

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. **პირველ რიგში უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ხასიათდება დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლით, კერძოდ, დასაქმებულია მოსახლეობის 50%. ასევე აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული.** აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ბოლო წლების განმავლობაში სიტუაციის გაუმჯობესებას სხვადასხვა სოციალური პროგრამებით ცდილობს, მათ შორის, ისეთი პროგრამებით, როგორებიცაა: მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, ინვესტირება სოფლის ინფრასტრუქტურაში, სარწყავი სისტემებისა და მეორადი გზების განვითარება. სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოში ევროკომისიის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფი სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა უნდა განხორციელდეს ფრთხილი და ეტაპობრივი მიდგომის გამოყენებით.

2. **ამასთან, რეგიონებში ფართოდაა გავრცელებული სურსათის წარმოება საარსებო მიზნით და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის მაღალი მაჩვენებელი,** რაც ართულებს დიდი მოცულობის კერძო ინვესტიციების მოზიდვას სოფლის მეურნეობის სექტორში. სწორედ ამ მიზნით უნდა შემუშავდეს სპეციალური მიდგომა აღნიშნული სეგმენტის მიმართ.

   სასოფლო მეურნეობები დაყოფილია როგორც მიწის დამუშავების, ასევე მეცხოველეობის მიხედვით. მიწის მეურნეობები მოი-

ცავს ოჯახურ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სასოფლო მეურნეობების მხოლოდ 0.13%-იანი წილი უკავიათ,[1] რაც იმას ნიშნავს, რომ მიწის უმეტესობა კომერციული მიზნით კი არ მუშავდება, არამედ მას საარსებო წყაროს დანიშნულება აქვს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ძალიან დანაწევრებულია, დაახლოებით 4 მილიონ ნაწილად არის დაყოფილი, რომელთა უმეტესობაც ფართობით 1 ჰექტარს არ აღემატება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო მეურნეობებში მეცხოველეობის 99.6%-იანი წილი ცალკეულ ოჯახებს უკავიათ და მათი საკუთრების სტრუქტურაც დანაწევრებულია, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ 0.4%-იანი წილით შემოიფარგლებიან.

1992 წლიდან დაწყებული რეფორმის შედეგად მსხვილი კოლექტიური ფერმები დაიშალა და პირუტყვი ოჯახურ მეურნეობებს გადაეცა. აღნიშნულმა წარმოქმნა საკუთრება მცირე ზომის მიწებზე.

სოფლის მეურნეობის სფეროში კერძო საკუთრებისა და ინვესტიციების მხარდაჭერის მიზნით 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ“. მიწის რეფორმის პარალელურად, გამარტივდა საკუთრების რეგისტრაციის პროცედურები და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოღებული იქნა ერთი ფანჯრის პრინციპი. დღესდღეობით საკუთრების რეგისტრაცია, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწისა და ქონების რეგისტრაცია, შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობითაც – სულ ერთ დღეში. ამასთან,

[1] *საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 2007 წ.*

შეიქმნა ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომლის ხელმისაწვდომობაც უზრუნველყოფილია მიწის მესაკუთრეთათვის.

3. **გასული წლების განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდა, ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით, გაცილებით დაბალი იყო, ზოგიერთ წლებში კი – უარყოფითიც.** 2004-2009 წლებში სოფლის მეურნეობის სექტორის საშუალო ზრდა უარყოფითი იყო და -2,4%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც იმავე წლებში სხვა სექტორების ზრდა გაცილებით შტამბეჭდავი იყო, მაგალითად: მშენებლობის სექტორი 10%-ით გაიზარდა, ვაჭრობა – 6,8%-ით, სამთომოპოვებითი მრეწველობა – 6,2%-ით, ტრანსპორტის სექტორი კი – 4,7%-ით. ამრიგად, 2004-2009 წლებში სოფლის მეურნეობა არ იყო საქართველოს ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ძალა.
4. **ბოლო წლებში მეურნეობებისა (რომლებსაც საარსებო წყაროს დანიშნულება აქვთ) და მცირე მოცულობის წარმოების გარდა, გაჩნდა სურსათის მწარმოებელი საწარმოები,** რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აწარმოებენ პროდუქტს და დასავლურ ბაზრებზე გასვლას გეგმავენ. თავიანთი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით აღნიშნული ტიპის საწარმოები დაინტერესებულნი არიან საქართველოში სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვით.
5. **სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა თანდათანობით დივერსიფიკაცია განიცადა.** შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საექსპორტოდ გამიზნული სურსათის უვნებლობის კონტროლს. აღნიშნული საქართველოში ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

2005-2009 წლებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი 13%-ით გაიზარდა. 2009 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 27.9%-ს შეად-

გენდა (2008 წლის 16,7%-იან ზრდასთან შედარებით). 2009 წელს 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქტი იყო: თხილი (მთლიანი ექსპორტის 10%), ალკოჰოლური სასმელები, გარდა ღვინისა (მთლიანი ექსპორტის 8%), ღვინო (მთლიანი ექსპორტის 5%) და მინერალური წყლები (მთლიანი ექსპორტის 3%). აღნიშნული პროდუქტების გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქტების სიაში იყო ციტრუსები, ხილ-ბოსტნეულისაგან დამზადებული წვენები და უალკოჰოლო სასმელები.

გასული წლების განმავლობაში მოხდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის დივერსიფიკაცია. ახალ საექსპორტო პროდუქტთა სიაში შევიდა: ცხვარი, თევზი, მწვანილი, კომბოსტო, სანელებლები.

2009 წელს ევროკავშირის წილი საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტში 21,4%-ს შეადგენდა. ძირითადი სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქტები იყო: თხილი (ამ პროდუქტის მთლიანი ექსპორტის 65,7%), მინერალური წყლები და უალკოჰოლო სასმელები (ამ პროდუქტების მთლიანი ექსპორტის 19.2%), ხილ-ბოსტნეულის წვენები (ამ პროდუქტის მთლიანი ექსპორტის 63,6%) და ღვინო (ამ პროდუქტების მთლიანი ექსპორტის 18,9%)[2].

6. **ამჟამად სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარეობს სურსათის უვნებლობის კონტროლის მექანიზმის დანერგვასთან დაკავშირებული რეფორმა.** 2010 წლის ივლისიდან, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს იმ ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ეწევიან სურსათის ექსპორტს ევროკავშირში. 2011 წლიდან ინსპექტირებასა და მიკვლევადობის კონტროლთან დაკავშირებული მუხლები ამოქმედდება ყველა სხვა ბიზნესოპერატორისათვის, მათ შორის, მაღალი რისკის სურსათის მწარმო-

[2] სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ებელი საწარმოებისათვის, ცხოველთა საკვების მწარმოებელი საწარმოებისა და სხვა ბიზნესოპერატორებისათვის.

სურსათის უვნებლობის კონტროლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სურსათთან დაკავშირებული დაავადებების კონტროლია. გასულ წლებში დაფიქსირდა სურსათთან დაკავშირებული ისეთი ინფექციები, როგორებიცაა ნაწლავის ჩხირი, მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატიურ-ანაერობული მიკროორგანიზმები. ეროვნული სამსახურის სწრაფმა რეაგირებამ და მის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო სურსათთან დაკავშირებული დაავადებების აღმოჩენა და აღმოფხვრა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში – ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ წესები დაამტკიცა, ეროვნული სამსახური დაუყოვნებლივ რეაგირებს ადამიანების ინტოქსიკაციის შემთხვევებზე. ქვეყანაში არსებობს სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფები. ასევე, ეროვნული სამსახური თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს დაბინძურების წყაროს დადგენისა და შესწავლის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ახლად დანერგილი ეპიდემიათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირების სისტემა (Electronic Integrated Disease Surveillence System – EIDSS), რომელიც ერთნაირად ხელმისაწვდომია ეროვნული სამსახურისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის. სისტემა აღნიშნულ სამსახურებს საშუალებას აძლევს დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინონ ეპიდემიათა შემთხვევებზე, რაც, თავის მხრივ, დაავადებათა მონიტორინგის სისტემის განვითარებას უწყობს ხელს.

ეროვნული სამსახური ცხოველთა ჯანმრთელობის თაობაზე რეგულარულად აწვდის მოხსენებებს ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას (OIE). ეროვნული სამსახური აწარმოებს აქტიურ ზედამხედველობას ცხოველთა დაავადებებზე.

საქართველოს მთავრობამ საქართველოში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) სპეციალური კვლევა დაუკვეთა, რათა გაერკვია, თუ რა შეხედულებები ჰქონდათ სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით სურსათის ბიზნეს-ოპერატორებს.

კვლევის შედეგად 500 შემთხვევით შერჩეული სურსათის ბიზნესოპერატორი გამოიკითხა, მათ შორის, 437 მწარმოებელი, 64 ექსპორტიორი და 88 იმპორტიორი. გამოკითხულ ბიზნესოპერატორებთაგან 27,7% მაღალრისკიანად დასახელდა, დანარჩენი კი – შედარებით დაბალ რისკიანად. გამოკითხული ბიზნესოპერატორების 10%-ს უკვე ჰქონდა ევროკავშირში პროდუქტის ექსპორტის გამოცდილება, 7% კი პროდუქტის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსპორტს გეგმავს.

კვლევის შედეგად მიღებული იქნა შემდეგი ძირითადი მონაცემები:

- **სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები** – უმეტეს შემთხვევაში, ბიზნესოპერატორები თავიანთი მყიდველებისა და დისტრიბუტორების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ (40%) ან სურსათის უვნებლობისა და/ან ხარისხის მართვის თავიანთი სისტემა აქვთ შექმნილი (37%). გამოკითხული ბიზნესოპერატორების მხოლოდ 5,9%-ს აქვს დანერგილი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი სურსათის უვნებლობის სისტემა.
- **სურსათის უვნებლობისა და ხარისხისათვის პასუხისმგებელი თანამშრომლების დანიშვნა/გამოყოფა** – გამოკითხული სურსა-

თის ბიზნესოპერატორების 48%-ს ჰყავს სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე კადრები, რომლებიც სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს კურირებენ. ამ მიზნებისათვის კადრების აყვანას ბიზნესოპერატორების 54% სამომავლოდ გეგმავს.

- **სურსათის ბიზნესოპერატორთა შორის „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნის დონე** – გამოკითხული მეწარმეების 70,5% არ იცნობს კანონს, 27% ზოგადად იცნობს აღნიშნულ კანონს. გამოკითხულ ბიზნესოპერატორთა მხოლოდ 2,6%-მა იცის აღნიშნული კანონი დეტალურად და მხოლოდ 4,7% ახორციელებს კადრების ტრენინგს ამ კუთხით. სურსათის ბიზნესოპერატორები, რომლებისთვისაც ეს კანონი უცხო არ არის, ოპტიმისტურად არიან განწყობილნი მისი შეჩერებული მუხლების ამოქმედების შედეგების მიმართ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მათ ამოქმედებას უარყოფითზე მეტად დადებითი გავლენა ექნება. ბიზნესოპერატორების 1/3-ის აზრით, კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედება მათ უკეთესი ხარისხისა და უვნებელი სურსათის წარმოების საშუალებას მისცემს. ბიზნესოპერატორთა 1/4 თვლის, რომ ადგილობრივ ბაზარზე მათი წილი გაიზრდება, 19%-ის აზრით კი, კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედების მეშვეობით ისინი საერთაშორისო მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებენ. თუმცა, გამოკითხულთა 1/4-ს მიაჩნია, რომ კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედებას პროდუქტის ფასის გაზრდა მოჰყვება. გამოკითხულთა მხოლოდ 2% თვლის, რომ კანონის ძალაში შესვლა მათი საწარმოების დახურვასა და ადგილობრივ ბაზარზე წილის დაკარგვას გამოიწვევს.
- **საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების ცოდნის დონე** – ზოგადად ცოდნის დონე საკმაოდ დაბალია. კვლევის

მიხედვით, საწარმოთა წარმომდგენლების მხოლოდ 1/5 გათვითცნობიერებულია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებში (ევროკავშირის სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ძირითადი რეგულაციები, *Codex Alimentarius*, HACCP, Global Gap, ISO 22000:2005, GMP, GHP):

საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების ცოდნის დონე	
საერთაშორისო სტანდარტები და რეგულაციები	**გამოკითხულთა რაოდენობის მაჩვენებელი**
GMP, GHP	**15,9%**
HACCP	**15,2%**
Global GAP	**13,2%**
ISO 22000:2005	**20,5%**
ISO 9001:2008	**19,4%**
Codex Alimentarius	**10,7%**
ევროკავშირის სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ძირითადი რეგულაციები	**13,8%.**

მთლიანობაში, კვლევის შედეგების თანახმად, სურსათის ბიზნესოპერატორთა შორის აღნიშნული კანონის შეჩერებული მუხლების ამოქმედებასთან დაკავშირებით არსებული მოლოდინი უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი. თუმცა, ბიზნესოპერატორების ვარაუდით, აღნიშნული გამოიწვევს საწარმოო ხარჯების ზრდას და წარმოებაში დამატებითი ინვესტიციების განხორციელების საჭიროებას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არსებობს აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის ნაკლებობა და საჭიროა ინფორმაციული კამპანიის განხორციელება.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროს ანალიზმა, ასევე ზემოაღნიშნული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვისას საჭიროა სპეცია-

ლური მიდგომის შემუშავება. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემა უმტკივნეულოდ დაინერგოს, მაგალითისათვის: საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის საქართველომ თანდათან უნდა დანერგოს სურსათის უვნებლობის მყარი სისტემა. აღნიშნული რეფორმის გატარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სექტორის სუსტი მხარეები, საერთაშორისო მოთხოვნების დანერგვის თანმდევი სოციალური ასპექტები და არსებული რეალობა. ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები ასეთი მიდგომის შემუშავების საშუალებას იძლევა ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი მიახლოებისა და გარკვეული ტიპის საწარმოებისათვის გამარტივებული სქემების შემოღების მეშვეობით.

III. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის დანერგვა

საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემის ინსტიტუციური ჩარჩო რამდენიმე ინსტიტუტისაგან შედგება. საქართველოში სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვისა და სურსათის უვნებლობის სრული სახელმწიფო კონტროლის დაწყებისათვის საჭიროა შესაბამის ინსტიტუტებს შორის საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია:

- **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო** პასუხისმგებელია სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისათვის;
- **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** პასუხისმგებელია სურსათის უვნებლობის პარამეტრებისა და მახასიათებლების განსაზღვრისათვის;

- **საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური** პასუხისმგებელია სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლისათვის;

სსიპ – შემოსავლების სამსახური პასუხისმგებელია სახელმწიფო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლისათვის. უფლებამოსილი პირები, რომლებიც საზღვარზე ახორციელებენ აღნიშნულ კონტროლს, არიან სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები. სსიპ – შემოსავლების სამსახურში შეიქმნა ვეტერინარული, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სამმართველო. აღნიშნული სამმართველო პასუხისმგებელია სახელმწიფო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლისათვის და უფლებამოსილია ყოველდღიურად შეამოწმოს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული ორგანოების ფიტოსანიტარი და ვეტერინარი სპეციალისტები.

აღნიშნული კოტროლის დროს აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში სსიპ – შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ტვირთის განადგურების ან უკან დაბრუნების შესახებ და დაუყოვნებლივ აცნობებს ეროვნულ სამსახურს ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით. ეროვნული სამსახური და სსიპ – შემოსავლების სამსახური რეგულარულად აწვდიან ერთმანეთს შესაბამის ინფორმაციასა და მონაცემებს. ეროვნული სამსახური სსიპ – შემოსავლების სამსახურს ადეკვატური ზომების მისაღებად აწვდის პოტენციური რისკების შესახებ ინფორმაციასა და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს. სსიპ – შემოსავლების სამსახური კი ეროვნულ სამსახურს აწვდის ინფორმაციას ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტისა და ქვეყანაში მათი გადაადგილების შესახებ.

სურსათის უვნებლობის პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სსიპ – შემოსავლების სამსახურსა და ეროვნულ სამსახურს შორის ფუნქციები გადანაწილებულია ისე, რომ სახელმწიფო ვეტერინარული, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლი ქვეყანის შიგნით ხორციელდება ეროვნული სამსახურის მიერ, ხოლო სახელმწიფო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი – უშუალოდ სსიპ – შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებლობაა;

- **ლაბორატორიები** – საქართველოში არსებობს სახელმწიფო და კერძო ლაბორატორიები, რომლებიც ქვეყნის სურსათის უვნებლობის სისტემის განუყოფელი ნაწილია.

სურსათის უვნებლობის მდგრადი სისტემის დანერგვისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

- ბიზნესოპერატორების რეგისტრაციასა და მათ შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას;
- სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების დანერგვას, განსაკუთრებით კი ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმებებსა და ინსპექტირებებს;
- სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის განხორციელებას;
- ეროვნული სამსახურისა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის ეფექტიან თანამშრომლობას;
- ლაბორატორიების სისტემის განვითარებას სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესოპერატორების ინსპექტირებები და მიკვლევადობის კონტროლი ეტაპობრივად მიმდინარეობს. „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მიკვლევადობასთან, ინსპექტირებასა და საფრთხეების შიდა კონტროლის სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით არსებული მუხლები 2010 წლის 1 ივლისიდან სურსათის მხოლოდ იმ ბიზნესოპერატორებისათვის ამოქმედდა, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეწევიან ექსპორტს. 2010 წლის 1 ივლისს დაიწყო აღნიშნული სურსათის ბიზნესოპერატორების ინსპექტირება და მიკვლევადობის კონტროლი საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის შესაბამისად. ამის მეშვეობით მოწმდება სურსათის ბიზნესოპერატორების საქმიანობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ მოთხოვნებთან. 2011 წლიდან ეს მოთხოვნები ყველა სხვა ბიზნესოპერატორებსაც შეეხება. პარალელურად საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება მიმდინარეობს ევროკავშირის რეგულაციებთან საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის მიხედვით.

1. ბიზნესოპერატორების რეგისტრაცია

ბიზნესოპერატორების რეგისტრაცია 2010 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო. რეგისტრირების მოთხოვნა ყველა იმ ბიზნესოპერატორს ეხება, რომელიც იურიდიულ პირს ან ინდივიდუალურ მეწარმეს წარმოადგენს და სურსათის და/ან ცხოველთა საკვების პროდუქტს კომერციული მიზნით აწარმოებს.

2010 წლის ივლისის მონაცემების თანახმად, დარეგისტრირდა 2035 ბიზნესოპერატორი, რომელთა შორის ევროკავშირში საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქტს აწარმოებდა 64 ბიზნესოპერატორი, 279 ბიზნესოპერატორი კი – მაღალი რისკის პროდუქტს.

ბიზნესოპერატორების რეგისტრაცია მიმდინარეობს და 2010 წლის ბოლოსათვის დასრულდება. ბიზნესოპერატორების შესახებ

სრულყოფილი ბაზის შექმნა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების რეგისტრაციას ახორციელებს სურსათის მწარმოებელ საწარმოდ/დისტრიბუტორად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ზოგადად, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს საწარმოების რეგისტრაციას და საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს მსგავსი მონაცემთა ბაზის შექმნაში. შესაბამისად, აღნიშნული სააგენტო პასუხისმგებელია ბიზნესოპერატორების რეგისტრაციისათვის. სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. ეროვნულ სამსახურს სრული ხელმისაწვდომობა აქვს დარეგისტრირებულ ბიზნესოპერატორთა მონაცემთა ბაზაზე.

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურები განთავსებულია საქართველოს ყველა რეგიონში. აქედან გამომდინარე, ბიზნესოპერატორებს შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში ტრანსპორტირებასა და დროსთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, ბიზნესოპერატორებს ელექტრონული ფორმების შევსება და დარეგისტრირებულ საწარმოთა მონაცემთა ბაზის გაცნობა ინტერნეტის მეშვეობითაც შეუძლიათ.

2. ინსპექტირება – სახელმწიფო კონტროლის ფორმა

ევროკომისიის №882/2004 რეგულაციის მიხედვით, სახელმწიფო კონტროლი განისაზღვრება, როგორც კონტროლის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესამოწმებლად. კონტროლად ითვლება ნებისმიერი სახის კონტროლი, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური ორგანო მიმდინარე პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ბიზნესოპერატორების ინსპექტირება ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება.

პირველ ეტაპზე, 2010 წლის 1 ივლისიდან, ინსპექტირება ხორციელდება მხოლოდ იმ ბიზნესოპერატორებისათვის, რომლებიც ევროკავშირში ეწევიან პროდუქტის ექსპორტს. მეორე ეტაპზე, 2011 წლიდან, ინსპექტირება და მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ყველა ბიზნესოპერატორისათვის იქნება სავალდებულო, მათ შორის, მაღალი რისკის პროდუქტის მწარმოებლისათვის, ცხოველთა საკვების მწარმოებლისა და სხვა ბიზნესოპერატორებისათვის. ორივე ეტაპი: 2010 წლის 1 ივლისიდან დაწყებული სურსათის ბიზნესოპერატორების ინსპექტირება და 2011 წლიდან განსახორციელებელი სახელმწიფო კონტროლი – შესაბამისობაშია საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობასთან. პარალელურად მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესი ევროკავშირის რეგულაციებთან საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის მიხედვით.

სურსათის უვნებლობის მთლიანი სისტემა, უფრო კონკრეტულად კი ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი, დაფუძნებული იქნება პრინციპზე „ფერმიდან სუფრამდე“, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოწმდება წარმოების მთლიანი ჯაჭვი, დაწყებული ფერმიდან დამთავრებული საბოლოო მომხმარებლით, მათ შორის, პროდუქტის წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, დისტრიბუციისა და საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების ეტაპები.

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ეროვნული სამსახური სურსათის უვნებლობის მონიტორინგს ახორციელებს. 2010 წლის სურსათის უვნებლობის მონიტორინგის სპეციალური პროგრამის ფარგლებში საცალო ვაჭრობის მონიტორინგს სწორედ ეროვნული სამსახური ახორციელებს. ზემოაღნიშნული პროგრამის თანახმად, პრიორიტეტი სურსათში პესტიციდების ნარჩენების არსებობის მონიტორინგს მიენიჭა. სურსათში პესტიციდების მონიტორინგის პროგრამა ადგილობრივი აკრედიტებული ლაბორატორიების რესურსების გამოყენების მეშვეობით დაიწყო.

ყველა სახის ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატი რეგისტრირდება ეროვნულ სამსახურში. პერიოდულად ეროვნული სამსახური აქვეყნებს ინფორმაციას საქართველოში დაშვებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის შესახებ. დაურეგისტრირებელი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის წარმოება, გაყიდვა ან ექსპორტი მკაცრად არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის იმპლემენტაციისას, საქართველო ეტაპობრივ მიდგომას გამოიყენებს: პირველ რიგში, საქართველო უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის ივლისიდან ჩატარებული სავალდებულო შემოწმებების ეფექტიან იმპლემენტაციას. ამის პარალელურად, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან (EU *acquis*) მიახლოების პროცესი გაგრძელდება, რათა მომზადდეს იურიდიული ბაზა შესაბამისი ინსპექტირების იმპლემენტაციისათვის. ეს ყველაფერი კი საქართველოში სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების ვადები რეალურ გათვლებზეა დაფუძნებული – სრულად არის გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის სფე-

რო'ში ევროკავშირის კანონმდებლობის კომპლექსურობა, სახელწმიფო დაწესებულებებისა და ბიზნესსექტორის საჭიროებები და ნაკლოვანებები იმისათვის, რომ სურსათის უვნებლობის მყარი და თანამედროვე სისტემა დაინერგოს.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ჰორიზონტალურ კანონმდებლობასთან ეტაპობრივი მიახლოება დასრულდება 2014 წლისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია საკანონმდებლო მიახლოების პროგრამაში. ხოლო ამის პარალელურად, 2011 წელს, ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამა მომზადდება.

ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოება პროდუქტების მიხედვით განხორციელდება. სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესის პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობა იმ პრიორიტეტულ პროდუქტებს განსაზღვრავს, რომლებზეც გავრცელდება ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები. პრიორიტეტული პროდუქტები იდენტიფიცირებული იქნება ისე, რომ ხელი შეეწყოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გააქტიურებასა და საქართველოს პოტენციალის განვითარებას. პრიორიტეტულ პროდუქტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მიახლოება 2011 წლიდან 2012 წლამდე განხორციელდება. აღნიშნული პროცესის მეორე ეტაპზე ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის მიახლოების რიგითობა სხვა ტიპის პროდუქტებისათვის გაინსაზღვრება ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამის შემუშავებისას. ეს პროგრამა იქნება სამუშაო დოკუმენტი, რომლის ჩასწორება საჭიროებისა და ევროკავშირის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად იქნება შესაძლებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის ჰორიზონტალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პარალელურად მოხდება.

2010 წლის 1 ივლისიდან ეროვნული სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს ევროკავშირში ექსპორტიორი სურსათის ბიზნესოპერატორების შემოწმება. ამ მიზნით 2010 წელს ეროვნულმა სამსახურმა შეიმუშავა სურსათის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა. ევროკავშირში ექსპორტიორი სურსათის ბიზნესოპერატორების დაგეგმილი შემოწმებები აღნიშნული პროგრამის მიხედვით ხორციელდება.

სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებთან, მათ შორის, ინსპექტირებასთან, დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად მოიცავს შემდეგ კანონსა და დადგენილებას: საქართველოს კანონს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის დადგენილებას „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“.

დაგეგმილია აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ევროკავშირის მოთხოვნებთან და გამოსწორდეს არსებული ხარვეზები (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ სტრატეგიის თავი V და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა).

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ორი სახის ინსპექტირება: გეგმური ინსპექტირება და წინასწარი გაფრთხილების გარეშე ინსპექტირება, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში. **გეგმური ინსპექტირება** სახელმწიფო კონტროლის ყოველწლიური

პროგრამითაა გათვალისწინებული და ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად. **წინასწარი გაფრთხილების გარეშე ინსპექტირება** ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის თაობაზე.

ეროვნული სამსახური ვალდებულია განახორციელოს რისკის შეფასება, მართვა და კომუნიკაცია. რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების უფლებამოსილება შესაძლოა მესამე მხარეს მიენიჭოს, მაგრამ მისი დანერგვა და განხორციელება უშუალოდ ეროვნული სამსახურის ვალდებულებაა. მესამე მხარედ მიჩნეულია სამეცნიერო ან მსგავსი ტიპის ინსტიტუტი და ის ექსპერტები, რომლებსაც რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების დიდი გამოცდილება აქვთ. მომავალში რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების უფლებამოსილების მესამე მხარისათვის მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რისკის შეფასების კოორდინაცია მაინც ეროვნული სამსახურის მეთვალყურეობით წარიმართება.

ეროვნული სამსახურის მიერ ჩასატარებული გეგმური ინსპექტირების რაოდენობა დამოკიდებულია ბიზნესოპერატორების რისკის კატეგორიაზე (რისკის შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომა). აქედან გამომდინარე, მაღალი რისკის მქონე საწარმოები ხშირად უნდა შემოწმდეს.

გეგმური ინსპექტირება ჩატარდება იმ წლიური პროგრამის შესაბამისად, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაამტკიცებს.

პროგრამა მოიცავს:

- პროგრამის შემუშავების კრიტერიუმებს;
- განსახორციელებელი შემოწმებების რაოდენობასა და ტიპს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული სამსახური უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

ყველა შემთხვევაში ინსპექტირების ოქმის (კანონმდებლობის შესაბამისად – შესაბამისობის შეფასების აქტი) შედგენა ინსპექტორის მიერ ადგილზე ხდება, შემდგომ კი მას ინსპექტორი და ბიზნესოპერატორი აწერენ ხელს.

ინსპექტირების პროცედურებისა და პირობების ყოვლისმომცველი აღწერილობა მოცემულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის ივნისის დადგენილებით დამტკიცებულ „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესში“.

სურსათისა და ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის წლიური ანგარიში ეროვნული სამსახურის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინება. სახელმწიფო კონტროლის წლიური ანგარიში მოიცავს:

- განხორციელებული ინსპექტირების რაოდენობას, ტიპსა და მათ თანაფარდობას დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში;
- გამოვლენილი დარღვევების რაოდენობასა და ტიპს;
- აღმოჩენილი დარღვევების საპასუხოდ გატარებულ ზომებს.

სურსათის უვნებლობის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში ეროვნული სამსახურის მიერ დარღვევებზე საპასუხოდ მიღებული ზომები დამოკიდებულია დარღვევის სიმძიმეზე და შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ქმედებებს:

- დარღვევის აღმოსაფხვრელად ბიზნესოპერატორისათვის რეკომენდაციებისა და გონივრული ვადის მიცემას;
- სურსათის ან/და ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აკრძალვას;

- ბიზნესოპერატორის კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერებას;
- პროდუქციის ბაზრიდან ამოღებას;
- ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას.

ამ ეტაპზე სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუციური სისტემის დახვეწა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნისათვის განხორციელდება შემდეგი ქმედებები:

- ეროვნული სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება და შესაძ-ლებლობების გაზრდა;
- სსიპ – შემოსავლების სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება;
- ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შო-რის თანამშრომლობის დახვეწა;
- სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვის პრო-ცესში ყველა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტის ადეკვატური ჩართვა.

ზემოთ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მთლიანი ინს-ტიტუციური სისტემის გამარტივებით, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებით, შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებში ადამიანური რესურსების განვითარებით. ამ მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული იქნება ფინანსური სახსრები და სხვადასხვა სახის დახმარების პროგრამე-ბი.

შემდგომ ეტაპზე საქართველოს მთავრობამ შესაძლოა შეიმუ-შაოს საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფო კონტროლის სისტემაში დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანოების ჩართვის მიზნით. თუ აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა შემუშავდება, ის აუცილებლად იქნება შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან, კერ-

ძოდ, ევროკომისიის №882/2004 რეგულაციასთან. ევროკომისიის აღნიშნული რეგულაციის თანახმად, სახელმწიფო კონტროლისათვის პასუხისმგებელმა ორგანომ შესაძლოა თავისი გარკვეული ფუნქციების დელეგირება მოახდინოს მესამე დამოუკიდებელი მხარისათვის. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მესამე დამოუკიდებელი მხარე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანო და კერძო ლაბორატორია.

საქართველოში დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანოების შემოღების შემთხვევაში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სისტემა შემდეგ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული:

- დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანოების საქმიანობა ხელს არ შეუშლის ეროვნული სამსახურის საქმიანობასა და ფუნქციებს. დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანოები მხოლოდ შეავსებენ ეროვნული სამსახურის საქმიანობას;
- დამოუკიდებელი საინსპექციო ორგანოები იმოქმედებენ ეროვნული სამსახურის ზედამხედველობით და შეასრულებენ მხოლოდ ეროვნული სამსახურის მიერ მათზე დელეგირებულ ფუნქციას;
- საქართველოში სურსათის უვნებლობის კონტროლის სისტემისათვის პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობა, ეროვნული სამსახური და სსიპ – შემოსავლების სამსახური იქნებიან;
- იმისათვის, რომ სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული აქტივობები განახორციელოს დამოუკიდებელმა საინსპექციო ორგანომ, იგი აკრედიტებული უნდა იყოს სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში – აკრედიტაციის ცენტრი) მიერ შემდეგი სტანდარტების მიხედვით: ა) EN 45004 ევროსტანდარტი – „ძირითადი კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის ორგანოების ფუნქციონირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინსპექტირებას“ (European Standard EN 45004 ‘General criteria for the operation of various types of bodies performing ins-

pection') ან ბ) სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი ISO 17020 „ძირითადი კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის ორგანოების ფუნქციონირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინსპექტირებას" ('General criteria for the operation of various types of bodies performing inspection') ან გ) აკრედიტებული უნდა იყოს ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამის დაწესებულებებში.

3. სახელმწიფო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი და ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის თანამშრომლობა

სახელმწიფო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის (შემდგომში – სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლი) მიზანია ცხოველებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ასევე გარემოს იმ დაავადებებისგან, მავნებლებისა და დამაბინძურებლებისგან დაცვა, რომლებიც საქართველოში ცხოველების, მცენარეების, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის იმპორტითა ან ტრანზიტით შეიძლება მოხვდეს. ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ეფექტიანი, გამჭვირვალე და რისკის შეფასებაზე დაფუძნებული სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლი, რომელიც სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის (SPS) სფეროში ევროკავშირის მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად თავისუფალ და უსაფრთხო საერთაშორისო ვაჭრობას შეუწყობს ხელს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ – შემოსავლების სამსახური ახორციელებს სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლს.

სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის საკითხები, თანამშრომლობის მექანიზმები და კომპეტენციების გადანაწილება ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის დარეგულირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 31 დეკემბრის №987-№2-184 ერთობლივი ბრძანებით. სსიპ – შემოსავლების სამსახური არის სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი უწყება, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო – სურსათის უვნებლობის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი.

აღნიშნული ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, დოკუმენტურ, იდენტურობის და ფიზიკურ შემოწმებას, ასევე ნიმუშის აღებას ლაბორატიული ანალიზისათვის ახორციელებენ სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სპეციალისტები. ერთობლივი ბრძანება შემუშავებულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, საბაჟო სფეროში კანონქვემდებარე აქტების დახვეწის მიზნით.

2009 წლის 1 ივლისიდან სსიპ – შემოსავლების სამსახურმა დაიწყო იდენტურობის და ფიზიკური შემოწმება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტირებული პროდუქტის ნიმუშის აღება ლაბორატორიული ანალიზისათვის. იდენტურობის შემოწმება მოიცავს ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სერთიფიკატების ან საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა სახის დოკუმენტების პროდუქტთან შესაბამისობის ვიზუალურად გადამოწმებას. ასევე იმ ეტიკეტის არსებობისა და შესაბამისობის გადამოწმებას, რომელიც ცხოველებსა და შეფუთულ პროდუქტზე უნდა იყოს მითითებული.

საზღვარზე ყველა სახის პარტია (გარდა იმ პარტიისა, რომელიც მონიტორინგის გეგმის მიხედვით შეირჩა ან რომლის გადაზიდვაც მატარებლის საშუალებით ხდება) ექვემდებარება დოკუმენტურ და იდენტურობის შემოწმებას. სსიპ – შემოსავლების სამსახუ-

რის უფლებამოსილი მოხელე (ვეტერინარი ან ფიტოსანიტარი სპეციალისტი) ახორციელებს ფიზიკურ შემოწმებას იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტური და იდენტურობის შემოწმების შედეგები არადამაკმაყოფილებელია. ასეთი სახის ფიზიკური შემოწმება ხორციელდება სასაზღვრო საინსპექციო პუნქტზე (პორტალი).

მონიტორინგის გეგმის მიხედვით შერჩეული ან მატარებლით გადმოზიდული პარტია ექვემდებარება დოკუმენტურ შემოწმებას სასაზღვრო საინსპექციო პუნქტზე, ხოლო ამ სახის პარტიის იდენტურობის შემოწმება სასაზღვრო გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ხორციედება.

მას შემდეგ, რაც მონიტორინგის გეგმის მიხედვით შერჩეული ან მატარებლით გადაზიდული ტვირთი დოკუმენტურ და იდენტურობის შემოწმებას გაივლის, ის სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ ექვემდებარება ფიზიკურ შემოწმებას, რომელიც ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე სასაზღვრო გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

ნაგებობებში გამოყოფილია სპეციალური ადგილები, სადაც ვეტერინარი და ფიტოსანიტარი სპეციალისტების მიერ ხორციელდება პროდუქტის მომზადება ნიმუშებს აღებისა და ნიმუშების ტრანსპორირებისათვის. ასევე, პროდუქტების ვიზუალური შემოწმება ხორციელდება მიკროსკოპის (სტერეომიკროსკოპის) საშუალებით. აღნიშნული ოთახები აღჭურვილია სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წელს შესყიდული მოწყობილობით (მაგალითად: მიკროღუმელი, მაცივარი, თერმომეტრი, ჩაქუჩი, საყინულე და ა.შ.).

ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

ორი სასაზღვრო საინსპექციო პუნქტის შენობების დიზაინი და ვირტუალური მოდელი ესტონელმა ექსპერტებმა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შექმნეს.

მონიტორინგის გეგმა წინა წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით იქმნება. სსიპ – შემოსავლების სამსახური ითვალისწინებს იმ საქონლის რაოდენობას, რომელმაც გასულ წლებში სასაზღვრო საინსპექციო პუნქტზე შემოწმება გაიარა. სსიპ – შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის გეგმა ეროვნულ სამსახურთან თანხმდება. მონიტორინგის გეგმის ფორმის შემუშავება და ჩამოყალიბება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში მოხდა საბაჟო სფეროში კანონქვემდებარე აქტების დახვეწის მიზნით.

რაც შეეხება ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის თანამშრომლობას, ერთობლივი ბრძანების (№987-№2-184) საფუძველზე, სსიპ – შემოსავლების სამსახური ვალდებულია ეროვნულ სამსახურს რეგულარულად გაუგზავნოს ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პარტიასთან დაკავშირებულ მონაცემებს, შემოწმების აქტის სერიულ ნომერსა და შემოწმების შედეგებს. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მონიტორინგის გეგმა უნდა განახლდეს, განისაზღვროს ფიზიკური შემოწმებებისა და ნიმუშის აღების რაოდენობა.

საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შედეგად განხორციელებული შემოწმებების პასუხებს სსიპ – შემოსავლების სამსახური ატყობინებს ეროვნულ სამსახურს. ასეთ შემთხვევაში ეროვნული სამსახური გადაამოწმებს მიღებულ ინფორმაციას და შესაბამის შეტყობინებას გადაუგზავნის სსიპ – შემოსავლების სამსახურს. სსიპ – შემოსავლების სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს ეროვნული სამსახურის მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით და მასზე დაყრნობით გააგრძელოს, შეწყვიტოს ან აკრძალოს საქონლის განბაჟება.

საგანგებო შემთხვევების დროს ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის კომუნიკაცია და თანამშრომლობა ელექტრონული საშუალებებით ხორციელდება. სამსახურებში გამოიყოფა საკონტაქტო პირები და სწორედ მათი მეშვეობით ხორციელდება კომუნიკაცია. სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის დროს აღმოჩენილი შეუსაბამობის შემთხვევაში სსიპ – შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას პარტიის განადგურების ან უკან დაბრუნების შესახებ და ამ ინფორმაციას ელექტრონული საშუალებებით დაუყოვნებლივ ატყობინებს ეროვნულ სამსახურს.

როგორც ზემოთ იყო არნიშნული, სსიპ – შემოსავლების სამსახური და ეროვნული სამსახური რეგულარულად ცვლიან ერთმანეთში შესაბამის მონაცემებსა და ინფორმაციას. ადეკვატური ღონისძიებების ჩატარების მიზნით ეროვნული სამსახური სსიპ – შემოსავლების სამსახურს აწვდის პოტენციური რისკების შესახებ ინფორმაციასა და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს. სსიპ – შემოსავლების სამსახური კი ეროვნულ სამსახურს უგზავნის ინფორმაციას სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებული იმპორტირებული პროდუქტის თაობაზე.

2010 წლის ბოლოსათვის დაგეგმილია გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებული პროგრამის პრეზენტაცია. პროგრამა იმ ტვირთის შერჩევას მოახდენს, რომელიც მონიტორინგის გეგმით უნდა შემოწმდეს.

4. ლაბორატორიების სისტემა საქართველოში

ლაბორატორიების ეროვნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის სისტემის დასახვეწად.

საქართველოს ლაბორატორიების ეროვნული სისტემა მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ლაბორატორიებს. სახელმწიფო ლაბორატორიების უმეტესობა ვეტერინარიისა და დაავადებათა კონტროლისათვის არის პასუხისმგებელი. კერძო ლაბორატორიები კი, უმეტეს შემთხვევაში, სურსათის, ალკოჰოლისა და უალკოჰოლო სასმელების ანალიზს ახორციელებენ.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მიზანია ერთიანი ლაბორატორიების სისტემის შექმნა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიებს შორის გამიჯნული კომპეტენციებით და ლაბორატორიებსა და სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა.

ამჟამად დაავადებების კონტროლი, დიაგნიოსტიკა და ზედამხედველობა განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევთა აღმოჩენის, ეპიდზედამხედველობისა და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემის მეშვეობით ხორციელდება. ერთიანი ლაბორატორიული სისტემა 2007 წლის ივნისის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №36 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა.

ერთიან ლაბორატორიულ სისტემას მართავს საკოორდინაციო საბჭო, რომლის სტატუსიც საქართველოს მთავრობის დადგენილებითაა განსაზღვრული (საქართველოს მთავრობის 2007 წლის 15 ნოემბრის №252 დადგენილება). საკოორდინაციო საბჭო დაკომპლექტებულია საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებით. ერთიანი ლაბორატორიული სისტემა მოიცავს განსხვავებული ბიოუსაფრთხოების დონეების მქონე ლაბორატორიებს. სწორედ ამ ლაბორატორიებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას

ხელს უწყობს ერთიანი ლაბორატორიული სისტემის საკოორდინაციო საბჭო.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიან ლაბორატორიულ სისტემაში არსებული ყველა ლაბორატორია რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საკოორდინაციო საბჭოს.

ერთიანი ლაბორატორიული სისტემა მოიცავს:

1. სსიპ – ლ. საყავარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს: ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 3 ზონალური და 3 რეგიონული საველე ლაბორატორიისაგან შედგება. 3 ზონალური ლაბორატორიაა:

- დაავადებათა კონტროლის ეროვნული ლაბორატორია (თბილისი);
- ზონალური ლაბორატორია (ქუთაისი);
- ზონალური ლაბორატორია (ბათუმი).

3 რეგიონული საველე ლაბორატორია უკვე აშენებულია და დაგეგმილია შენობების გარემონტება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წელს ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის დაგეგმილია დამატებით 5 რეგიონული საველე აბორატორიეს აშენება.

2. სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას, რომელიც მოიცავს შემდეგ ლაბორატორიებს:

- ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისი);
- ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი);
- ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ახალციხე);
- 8 საველე ლაბორატორიულ სადგურს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ლაბორატორიები და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი იკვლევენ, განსაკუთრებით საშიშ პათოგენებს და ფუნქციონირებენ ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის (BTRP) ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა დაიწყო 2002 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის, კერძოდ, საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) დახმარებით. პროგრამის მიზანია საქართველოში არსებულ ინფექციურ დაავადებათა პათოგენების უსაფრთხო და დაცულ ლაბორატორიებში თავმოყრა მათი შესწავლისათვის და, ამასთან, მეცნიერებისათვის მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი გარემოს შექმნა.

ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ცენტრალური საცნობარო ლაბორატორია (CRL). თბილისში ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის მშენებლობის დასრულება 2010 წლის ბოლოსათვის იგეგმება და იგი ბიოდაცულობისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება.

ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების დონე შეადგენს 3-ს (BSL-3). აღნიშნულ ლაბორატორიას საცნობარო ტესტირების ფუნქცია ექნება. მისი მშენებლობის დასასრულებლად დაახლოებით 60 მილიონი აშშ დოლარის რესურსია მოზიდული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თხოვნით, მსოფლიო ბანკი აფინანსებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც შეიქმნება ვეტერინარიის ზონალური დიაგნოსტიკის ლაბორატორია. აღნიშნული პროექტის დასრულება 2010 წლის ბოლოსათვის იგეგმება.

ზემოაღნიშნული ლაბორატორიების გარდა, არსებობს სხვა სახელმწიფო ლაბორატორიები, კერძოდ:

- სსიპ – ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელიც სურსათის, ალკოჰოლისა და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზას ახორციელებს;
- სსიპ – საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის ლაბორატორია, რომელიც, მათ შორის, სურსათისა და ალკოჰოლის ლაბორატორიულ კვლევებს აწარმოებს;
- სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რომელიც სურსათის, უალკოჰოლო და ალკოჰოლის შემცველი სასმელების და ა.შ. ლაბორატორიულ კვლევებს აწარმოებს;
- სს „სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ ლაბორატორია, რომელიც, მათ შორის, სურსათისა და ალკოჰოლის ლაბორატორიულ კვლევებს აწარმოებს;
- შპს „ღვინის ლაბორატორია“, რომელიც მხოლოდ ღვინის ლაბორატორიულ ანალიზს ახორციელებს.

სახელმწიფო ლაბორატორიების გარდა, არსებობს 13 კერძო ლაბორატორია. აღნიშნული ლაბორატორიები აკრედიტებულია სურსათის, ალკოჰოლისა და უალკოჰოლო სასმელების კვლევის მიზნით, ზოგიერთ ლაბორატორიაში კი ნარჩენების (მათ შორის, პესტიციდების) შემოწმებაც ხდება, კერძოდ:

- 10 ლაბორატორია მხოლოდ სურსათზე (მათ შორის, წყალსა და უალკოჰოლო სასმელებზე) ახორციელებს ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებას;
- 3 ლაბორატორია კი, სურსათთან ერთად, ალკოჰოლური სასმელების ანალიზსაც ახორციელებს.

თითოეულ ლაბორატორიას გავლილი აქვს აკრედიტაცია აკრედიტაციის ცენტრში. აკრედიტაციის ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. აკრედიტაციის

ცენტრი საერთაშორისო სტანდარტების ISO/IEC 17 011 შესაბამისად ოპერირებს. კრედიტაციის ცენტრი სხვადასხვა სფეროში არსებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციას შემდეგი სტანდარტების მიხედვით ახორციელებს:

- ISO/IEC 17025:2006 – საერთო მოთხოვნები საგამოცდო და დაკალიბრების ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი;
- EN 45011 ან ISO/IEC Guide 65 საერთო მოთხოვნები პროდუქტის სერტიფიკაციის სისტემაში მოქმედი ორგანოებისადმი;
- ISO/IEC 17021 შესაბამისობის შეფასება – მოთხოვნები მენეჯმენტის სისტემის აუდიტისა და სერტიფიკაციის ჩამტარებელი ორგანოებისადმი;
- ISO/IEC 17024 შესაბამისობის შეფასება – საერთო მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ჩამტარებელი ორგანოებისადმი.

უახლოეს მომავალში დაიწყება აკრედიტაცია შემდეგი სტანდარტის მიხედვით:

- ISO 15189 – სამედიცინო ლაბორატორიები – სპეციფიკური მოთხოვნები ხარისხისა და კომპეტენტურობისადმი.

საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი არის ლაბორატორიების აკრედიტაციის საერთაშორისო თანამშრომლობის (ILAC) აფილირებული წევრი და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმომწერი აკრედიტაციის ევროპულ თანამშრომლობასთან (EA). აკრედიტაციის ცენტრი აქტიურად მუშაობს EA–ს სრულუფლებიან წევრად გახდომის საკითხთან დაკავშირებით. 2008 წლიდან აკრედიტაციის ცენტრი TACIS–ის პროექტის დახმარებით ხელს უწყობს ლაბორატორიებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროფესიული ტესტირების ჩამტარებლების (international proficiency testing providers) მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებებში.

ლაბორატორიების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით საქართველოს მთავრობამ აკრედიტაციის ცენტრისათვის ყოვ-

ლისმომცველი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროგრამა (Comprehensive Institutional Building – CIB) მოითხოვა. აღნიშნული პროგრამა საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის ინსტიტუციონალური რესურსების განვითარებას უზრუნველყოფს.

ერთიანი ლაბორატორიული სისტემის განვითარების მიზნის მისაღწევად 2010 წლის ივნისში ლაბორატორიების საკითხებზე შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ლაბორატორიების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. სამუშაო ჯგუფი საქართველოს ლაბორატორიების სისტემაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებაზე მუშაობს, ასევე იგი განსაზღვრავს ლაბორატორიების ეროვნული სისტემის საჭიროებებსა და ლაბორატორიებსა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებს (როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული სამსახური და სსიპ – შემოსავლების სამსახური) შორის თანამშრომლობის დახვეწისათვის საჭირო სამომავლო ნაბიჯებს.

აღნიშნული სამუშაო ჯგუფის პარალელურად საქართველოში ლაბორატორიული სისტემის ხარვეზების შეფასების ორი დოკუმენტის მომზადება მიმდინარეობს, რათა მოხდეს ლაბორატორიების სისტემის სამომავლო საჭიროების ანალიზი. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელსაც ესტონელი ექსპერტი ამზადებს, ეხება სურსათის უვნებლობის სფეროში ინსტიტუციური ხარვეზების შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს როგორც ლაბორატორიების სისტემის ნაკლოვანებების შეფასებას, ასევე საქართველოს სურსათის უვნებლობის მთელი სისტემის ანალიზს. მეორე დოკუმენტი კი უშუალოდ ლაბორატორიების სისტემის ხარვეზების ანალიზს ეხება და მას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან არსებული საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ახალი კონტრაქტორი ახორციელებს. ლაბორატორიული სისტემის ხარვეზების შეფასების სწორედ ამ ორ დოკუმენტზე დაყრდნობით, უწყებათაშორისი სამუშაო

ჯგუფი ლაბორატორიების სისტემის განვითარებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროებების იდენტიფიცირებას მოახდენს.

5. მცირე ბიზნესის რეგულირების გამარტივებული სქემები

ევროკავშირის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, ევროკომისიის No 852/2004 და No 853/2004 რეგულაციებით, სურსათის მცირე ზომის მწარმოებელ, გადამამუშავებელ და დისტრიბუტორ საწარმოებზე რეგულირების შედარებით გამარტივებული სქემები ვრცელდება. გამარტივებული სქემები ვრცელდება ბიზნესოპერატორზე, თუ ის:

- წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ტრადიციულ მეთოდებს იყენებს;
- განთავსებულია გეოგრაფიულად არახელსაყრელი მდებარეობის მქონე ადგილზე;
- ადგილობრივ მომხმარებელს მცირე რაოდენობის სურსათით უშუალოდ ამარაგებს.

ევროკავშირის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა შედარებით გამარტივებული რეგულირების სქემა გარკვეული ტიპის მცირე ბიზნესის სტსტუსის მქონე ბიზნესოპერატორებისათვის. ბიზნესოპერატორის კონკრეტული კატეგორიებისათვის შედარებით გამარტივებული რეგულირების სქემის მინიჭებამდე ჩატარდება რისკის ანალიზი. სწორედ რისკის ანალიზის საფუძველზე დადგინდება, თუ რომელ ბიზნესოპერატორზე გავრცელდება გამარტივებული რეგულირების სქემა.

გამარტივებული რეგულირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მცირე ზომის საწარმოთა მდგრადობა და კონკურენტუნარიანობა. ასევე, შედარებით გამარტივებული რეგუ-

ლირების მიზანია, მცირე ზომის საწარმოებისათვის აცილებულ იქ-ნეს გადაჭარბებული ტვირთი და შენარჩუნდეს წარმოების ტრადი-ციული მეთოდები, რომლებიც ქვეყნის კულტურისა და ისტორიის ნაწილს წარმოადგენს.

უფრო კონკრეტულად, გამარტივებული რეგულირების სქემა შემდეგი კატეგორიის სურსათის ბიზნესოპერატორებზე ვრცელდება:

1. **სურსათის ტრადიციული ეროვნული წარმოება, გადამუშავება და დისტრიბუცია.** საქართველოს ტრადიციული სურსათის წარმოე-ბისა და გადამუშავების დიდი ისტორია აქვს. ქართული სამზარე-ულო საკმაოდ მრავალფეროვანია და მსოფლიოს მასშტაბით არის ცნობილი. ქართული სამზარეულო საქართველოს კულტუ-რულ-ისტორიული მემკვიდრეობაა და ტურისტების აღფრთოვანე-ბის ობიექტი. აქედან გამომდინარე, სურსათის წარმოების, გადა-მუშავებისა და დისტრიბუციის ტრადიციული მეთოდების შენარ-ჩუნება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტე-ტია. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს იმ ტრა-დიციული პროდუქტების სიას, რომლებზეც სურსათის უვნებლო-ბის შედარებით გამარტივებული რეგულირება გავრცელდება. ტრადიციული პროდუქტების სია 2010 წლის ბოლოსათვის გამოქ-ვეყნდება.
2. **ბიზნესოპერატორები, რომლებიც არახელსაყრელი გეოგრაფიუ-ლი მდებარეობის გამო არათანაბარ პირობებში არიან (ტრანს-პორტირება, წარმოების პირობები და ა.შ.)** – საქართველო მთიანი ქვეყანაა და მოსახლეობის ნაწილი მაღალმთიან რეგიო-ნებში ცხოვრობს. გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გა-მო მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისა და მათი მოსახლეობის ღირსეული საცხოვრებელი პირობების ხელშეწყო-ბისათვის საქართველოს კანონმდებლობით ასეთი რეგიონების მიმართ სპეციალური მიდგომა შემუშავდა სხვადასხვა სფეროე-

ბის მიხედვით. ამ მიმართულებით კანონმდებლობაში პირველი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც 1999 წელს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია მაღალმთიანი რეგიონი (დასახლებული ტერიტორია ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით) და მოცემულია მაღალმთიანი ადმინისტრსციული ერთეულების ჩამონათვალი. საქართველოს მთავრობა დაეყრდნობა სწორედ აღნიშნულ იურიდიულ საფუძველს არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობების განსაზღვრისას იმ ადმინისტრსციული ერთეულების მიმართ, რომლებზეც სურსათის უვნებლობის შედარებით გამარტივებული რეგულირება გავრცელდება.

3. **მწარმოებლის მიერ მცირე რაოდენობის სურსათის უშუალო მიწოდება საბოლოო მომხმარებლისათვის ან ადგილობრივი საცალო ვაჭრობის მომარაგება, რომელიც საბოლოო მომხმარებელს აწვდის პროდუქტს.**

ზემოაღნიშნულ კატეგორიებში მოხვედრილი სურსათის ბიზნესოპერატორების წილობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება 2010 წლის ბოლოს ან 2011 წლის დასაწყისისათვის, სურსათის მოქმებდი ბიზნესოპერატორების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

2010 წლის მესამე კვარტალში ზემოთ აღნიშნული ბიზნესოპერატორებისათვის შედარებით გამარტივებული მოთხოვნების დაწესებისათვის მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება.

6. ცხოველთა დაავადებების მონიტორინგის სისტემა

„ვეტერინარიის შესახებ“ 1995 წლის საქართველოს კანონი ცხოველთა დაავადებების მონიტორინგის სისტემას არეგულირებს.

სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება ეროვნული სამსახურის მიერ. ცხოველების იმპორტისა და ექსპორტისას სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლს სსიპ – შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს. ცხოველთა იმპორტის დროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვეტერინარი სპეციალისტები დოკუმენტურ და იდენტურობის შემოწმებას ახორციელებენ და ასევე იღებენ ნიმუშს ლაბორატორიული ანალიზისათვის. ნიმუშის აღება რისკის შეფასების საფუძველზე ტარდება.

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით 2010 წელს ფერმების რეგისტრაცია დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება.

ცხოველთა დაავადებებზე ზედამხედველობის ფარგლებში ეროვნული სამსახური ყოველწლიურად სპეციალურ გეგმას აყალიბებს, რომელიც ეხება ისეთი სახის დაავადებებს, როგორებიცაა ციმბირული წყლული, თურქული, ბრუცელოზი და ცოფი. რისკის ზონების დადგენის შემდეგ თითოეული დაავადების პრევენციისათვის ხორციელდება ცხოველების აცრები.

ცოფის გავრცელების პრევენციის მიზნით ეროვნული სამსახური ყოველწლიურად შინაური ცხოველების, მაგალითად, ძაღლებისა და კატების, აცრას ახორციელებს. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ბრუცელოზის გამოსავლენად ეროვნული სამსახური სეროლოგიურ მონიტორინგს ატარებს. რაც შეეხება თურქულს, ეროვნული სამსახური დაავადებათა კონტროლის ღონისძიებებს რეგულარულად ახორციელებს. ცხოველთა აცრა ბუფერულ ზონებში, უმეტესწილად ტრანსასაზღვრო ტერიტორიაზე ტარდება. ცხოველთა აცრა სერტიფიცირებული კერძო ვეტერინარების მიერ ხორციელდება, ეროვნული სამსახურის ზედამხედველობით.

ცხოველთა ჯანმრთელობის მონიტორინგი რეგულარულად მიმდინარეობს. 2006-2009 წლებში ცხოველთა დაავადებების (ბრუცე-

ლოზი, ტუბერკულოზი და ა.შ.) პრევენციის ღონისძიებებთან დაკავშირებით სახელმწიფო პროგრამა ხორციელდებოდა. სხვა ღონისძიებებთან ერთად ასევე აფრიკული ღორის გრიპის საწინააღმდეგო ზომებიც გატარდა. აფრიკული ღორის გრიპის გამოვლენა ეპიზოოტიური, კლინიკური და პათანატომიური ნიშნების საფუძველზე მოხდა. დაავადებების აღმოფხვრისა და მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ჩაერთო. ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მოძრაობაზე განსაკუთრებული შეზღუდვები და კონტროლის ღონისძიებები გატარდა.

2009 წელს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) აფრიკული ღორის გრიპის კონტროლთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში (TCP/GEO/-3103) სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ შინაური ღორების, გარეული ღორებისა და ტკიპების ნიმუშების ტესტირება განახორციელა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველთა დაავადებების მონიტორინგის სისტემის დახვეწის მიზნით ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამა (BTRP) დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულად ინტეგრირებული სისტემის (Electronic Integrated Disease Surveillence System - EIDSS) შემოღებასაც ითვალისწინებს როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული სისტემა ეროვნულ სამსახურსა და ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაავადებებზე სწრაფი რეაგირებისა და შესაბამისი ზომების მიღების საშუალებას მისცემს. ეროვნული სამსახურისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები აღნიშნული საინფორმაციო სისტემის მართვისათვის გადიან შესაბამის ტრენინგებს.

ეროვნულ სამსახურსა და ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულად ინტეგრირებული სისტემის (EIDSS) შემოღებასა და დანერგვაში აშშ-ს საელჩოსთან არსებული საფრთხის შემცირების სააგენტო (DTRA) გაუწევს დახმარებას. საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) დახმარებით აღნიშნული სისტემა პირველ ეტაპზე რეგიონებისათვის დაინერგება, ხოლო მომდევნო ეტაპზე უფრო მცირე ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულებისთვისაც. ეს სისტემა ეროვნულ სამსახურს, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს ინფორმაციისა და მონაცემების ურთიერთგაცვლის მექანიზმის დახვეწისა და პათოგენურ და გადამდებ დაავადებებზე სწრაფი რეაგირების საშუალებას მისცემს.

7. ადრეული გაფრთხილების სისტემა და ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემა (RASFF)

2008 წლის 3 დეკემბერს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება „ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (RASFF) ინტეგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

ამგვარად, საქართველო ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემის (RASFF) წევრი გახდა. ეროვნულ სამსახურს ინფორმაციის გასაცვლელად თავისი ფანჯარა და კოდი აქვს. შესაბამისად, ეროვნულ სამსახურში ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემის საკონტაქტო პირი შეირჩა. საკონტაქტო პირი პასუხისმგებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან რისკის კომუნიკაციისათვის.

ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემიდან (RASFF) მიღებული შეტყობინებები საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეგზავნება სსიპ – შემოსავლების სამსახურს, ეროვნული სამსახურის მიერ კი მზადდება შესაბამისი პასუხი. ამგვარად, ეროვნულ სამსახურს შესაძლებლობა აქვს მოახდინოს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება იმ საშიშროებებზე, რომელთა შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნა ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემის (RASFF) მეშვეობით.

ეროვნულ სამსახურში გამოყოფილი საკონტაქტო პირი ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემას (RASFF) შემდეგი სახის ინფრომაციას აწვდის:

- საგანგაშო შეტყობინებას (Alert notification) ბაზარზე განთავსებული სურსათთან/ცხოველთა საკვებთან დაკავშირებული საფრთხის არსებობისას, როდესაც დაუყოვნებლივ მოქმედებაა აუცილებელი;
- საინფორმაციო შეტყობინებას (Information notification), როდესაც სურსათთან ან ცხოველთა საკვებთან დაკავშირებული საფრთხე შეფასდა, მაგრამ რისკის ხასიათი არ მოითხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას, ვინაიდან პროდუქტს ჯერ არ მიუღწევია ბაზრამდე ან აღარ არის ბაზარზე;
- სიახლეებს (News), ანუ სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რომლის გადაცემაც არ მოხდა საგანგაშო ან საინფორმაციო შეტყობინების სახით;
- შეტყობინებას „საქონლის შემოტანაზე უარი ითქვა – დაბრუნებულია“ (Reject). აღნიშნული შეტყობინება ეხება იმ უცხოური საქონლის სტატუსის მქონე სურსათს/ცხოველთა საკვებს, რომლის მიმართ სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის განხორციელები-

სას მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანაზე უარის თქმისა და უკან დაბრუნების შესახებ.

შეტყობინებებს თან უნდა ერთვოდეს დეტალური ინფორმაცია სურსათთან/ცხოველთა საკვებთან დაკავშირებულ საფრთხესთან მიმართებაში განხორციელებული ან განსახორციელებელი ან რეკომენდებული ღონისძიების შესახებ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) გამჭვირვალობის ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს მთვარობა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილებებისა თუ დამატებების შესახებ შეტყობინებებს აგზავნის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO).

IV. ინსტიტუციური ხარვეზების ანალიზი და სამომავლო საჭიროებების იდენტიფიკაცია

1. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

2005 წლის დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარიხსის შესახებ“. შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენიმე სხვადასხვა სამსახურის გაერთიანებით შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური. შესაბამისად, ქვეყანაში სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლისათვის პასუხისმგებელი ერთიანი ისტიტუციონალური სისტემა ჩამოყალიბდა.

ამჟამად ეროვნული სამსახური შედგება სურსათის დეპარტამენტის, ვეტერინარიის დეპარტამენტის, ფიტოსანიტარიის დეპარტამენ-

ტის, სურსათისა და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტისა და ასევე სხვა რამდენიმე დეპარტამენტისაგან.

ეროვნულ სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე. ეროვნული სამსახური შედგება თბილისის და 58 სხვა ტერიტორიული ორგანოსაგან. ამჟამად ეროვნულ სამსახურში 314 დასაქმებულია, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების ჩათვლით.

ეროვნული სამსახურის რამდენიმე ტერიტორიული ორგანო უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით. უმეტეს ტერიტორიულ ორგანოში საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც დამატებით ინვესტიციებსა და განახლებას საჭიროებს.

ეროვნული სამსახურის ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურა შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს, რადგან ხარვეზები არსებობს არაეფექტიან შიდა და გარე კომუნიკაციებისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით. აუცილებელია სტრუქტურის დახვეწა და მენეჯმენტის სრულყოფა.

ამჟამად ეროვნულ სამსახურში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომელიც 2010 წლის ბოლოსათვის დასრულდება. რეორგაინზაციის მიზანი სტრუქტურის დახვეწა და მენეჯმენტის არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაა.

ამ ეტაპზე თანამშრომელთა პროფესიული უნარები და შესაძლებლობები ეროვნული სამსახურის მიერ შესაფერისი ადმინისტრაციულ ქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სამსახურის აქტივობებისა და დამატებითი ფუნქციების თანდათანობით გაფართოება დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესსა და სახელმწიფო კონტროლის სრულ ამოქმედებასთან, საჭიროა თანამშრომელთა უნარებისა და შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება.

განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული სამსახურის თანამშრომლების სტრუქტურირებულ და სისტემატიურ ტრენინგს უნდა მიექცეს. თანამშრომელთა სპეციალიზებული ტრენინგები, ისევე როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი უწყებების საქმიანობის გაცნობა არის აუცილებელი მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, აუცილებელია ადგილობრივი ტრენერების რესურსის შექმნა. ამ მიზნისათვის 2010 წელს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GTZ) ერთად მომზადებული ტრენერების ტრენინგის სახელმძღვანელო იქნება გამოყენებული.

ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა საკმაოდ დიდია, მაშინ, როცა ადგილობრივ დონეზე მომუშავე თანამშრომლების მიერ შესრულებული საქმიანობა შეიძლება არ იყოს ადეკვატური. ადგილობრივ დონეზე ვალდებულებების კონსოლიდაცია შესაძლოა საჭირო იყოს ეროვნული სამსახურის მიერ უკეთესი სერვისების მიწოდებისათვის.

რისკის ანალიზის განხორციელებისათვის რესურსის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია ეროვნული სამსახურისათვის, რადგან სახელმწიფო კონტროლი სწორედ რისკის შეფასების საფუძველზე ხორციელდება. ჯერჯერობით რისკის სათანადო შეფასება არც სურსათის უვნებლობის და არც ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ხორციელდება. აუციელებელია თანამშრომელთა სპეციალური გადამზადება რისკის შეფასებისათვის. ეროვნული სამსახურის მიერ რისკის ადეკვატურად შეფასებისათვის, ასევე რისკის მართვისა და კომუნიკაციების დასახვეწად საჭიროა ბიზნესოპერატორების მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი რეგულარული ანალიზი.

საქართველოში სურსათის უვნებლობის საფუძვლიანი სისტემის დასანერგად ეროვნულმა სამსახურმა შესაბამის ინსტიტუტებ-

თან ეფექტიანი კოორდინაციისა და თანამშრომლობის სისტემა უნდა შეიმუშაოს, კერძოდ, აუცილებელია კოორდინაცია სსიპ – შემოსავლების სამსახურთან, რადგან ის სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლს ახორციელებს; ასევე აუცილებელია თანამშრომლობა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რადგან ის ბიზნეს-ოპერატორების რეგისტრაციას ახორციელებს. დღესდღეობით ეროვნულ სამსახურსა და შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გარკვეული დონე არსებობს, თუმცა აუცილებელია მისი დახვეწა და გაუმჯობესება. თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შედეგად სამივე ინსტიტუტს ექნება ერთნაირი ხელმისაწვდომობა მონაცემთა ბაზებზე, რაც ხელს შეუწყობს სურსათის უვნებლობის თანამედროვე სისტემის დანერგვასა და განხორციელებას.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აუცილებელია სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტიანი განხორციელებისათვის. ეროვნულ სამსახურს საკმარისი რაოდენობის რესურსები გააჩნია ცენტრალურ დონეზე, მაგრამ რესურსების ნაკლებობას განიცდის ადგილობრივ დონეზე. დაგეგმილია ახალი ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა მსოფლიო ბანკის დახმარებით. სულ აშენდება და აღიჭურვება 10 ახალი ოფისი, რასაც დაახლოებით 680 000 აშშ დოლარი მოხმარდება. მშენებლობა 2011 წელს დასრულდება.

აუცილებელია პრიორიტეტული ინფრასტრუქტურისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შემუშავება და როგორც საშუალო, ისე გრძელვადიანი ბიუჯეტის გაწერა.

2. სსიპ – შემოსავლების სამსახური

სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლი სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ ხორციელდება.

სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სპეციალისტები ახორციელებენ. სსიპ – შემოსავლების სამსახურში შეიქმნა ვეტერინარული, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სამმართველო. აღნიშნული სამმართველო პასუხისმგებელია იმპორტისას სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლისათვის და ასევე უფლებამოსილია შეამოწმოს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებში ფიტოსანიტარიისა და ვეტერინარიის სპეციალისტების საქმიანობა.

ამჟამად სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლი 17-დან 14 სასაზღვრო საინსპექციო პუნქტში ხორციელდება.

ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის კოორდინაცია და კომპეტენციათა გადანაწილება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით რეგულირდება. აუცილებელია, ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის პრაქტიკის შემდგომი დახვეწა. სამომავლოდ შემუშავდება ერთობლივი სამოქმედო გეგმა, რომელიც საგანგებო სიტუაციებისას ეროვნული სამსხურისა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის ეფექტიან კომინიკაციას შეუწყობს ხელს.

სსიპ – შემოსავლების სამსახური დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა საქმაინობის ეფექტიანობასა და სასაზღვრო საინსპექციო პუნქტებში სანიტარიული და ფიტოსანიტარიული შემოწმებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. პირველ ეტა-

პზე, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, ესტონელ ექსპერტებთან ერთად მოხდა საჭირო ფინანსური სახსრების შეფასება, მათ შორის, სასაზღვრო საინსპექციო პუნქტებში ასაგებ შენობებთან დაკავშირებული ფინანსური შეფასება.

თითოეული მეზობელი ქვეყნის სახმელეთო სასაზღვრო საინსპექციო პუნქტში უნდა აშენდეს თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი შენობა. სავარაუდო გათვლებით ამისათვის 10 მლნ აშშ დოლარია საჭირო. მშენებლობა და აღჭურვილობის შეძენა ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება და ნაწილობრივ დონორების მიერ. ამ პროგრამის მეორე ეტაპზე, 2011 წელს განხორციელდება აეროპორტებსა და პორტებში, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნასა და განახლებასთან დაკავშირებული ინვესტიციების შეფასება.

რესურსები და ინსტიტუციური საშუალებები სტრუქტურირებულად და სისტემურად აისახება ტვინინგის (twinning) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაიწყება 2011 წლის პირველი კვარტალისათვის.

3. ლაბორატორიები

საქართველოში არსებობს კერძო და სახელმწიფო ლაბორატორიები. ცხოველებისგან ადამიანებზე გადამდებ და ცხოველთა დაავადებებთან მიმართებაში ეროვნულ სამსახურს სწორი დიაგნოზის დასასმელად ლაბორატორიების მომსახურების გამოყენების საშუალება აქვს. თითოეული ლაბორატორია სათანადოდაა აღჭურვილი. ლაბორატორიების პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები და ამჟამადაც გრძელდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ზოგიერთი ლაბორატორია ფორმალური ხარისხის დაზღვევის სისტემებით (for-

mal quality assuarance systems) სარგებლობს, ზოგიერთი კერძო ლაბორატორია აკრედიტებულია ISO №45001-ის შესაბამისად.

თუმცა, ლაბორატორიების არსებული რესურსები ბოლომდე არ არის ათვისებული. ასევე აუცილებელია ეროვნულ სამსახურს, სსიპ – შემოსავლების სამსახურსა და ლაბორატორიებს შორის კოორდინაციის სქემების გაუმჯობესება.

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ლაბორატორიების სისტემაში არსებული ხარვეზების შეფასებასთან დაკავშირებით ორი სხვადასხვა დოკუმენტის მომზადება მიმდინარეობს, კერძოდ:

1. ინსტიტუციური ნაკლოვანებისა და სამომავლო საჭიროების შესახებ დეტალური და ყოვლისმომცველი შეფასება საქართველოში სპეციალურად მოწვეული ესტონელი ექსპერტის მიერ ხორციელდება. აღნიშნული დოკუმენტი ლაბორატორიების სისტემის ნაკლოვანების ანალიზსაც მოიცავს, როგორც სურსათის უვნებლობის მთელი სისტემის ნაწილის. ხარვეზების შეფასება 2010 წლის IV კვარტალში დასრულდება, რითაც საქართველოს მთავრობასა და დონორებს სამომავლო ნაბიჯების გადადგმის საშუალება მიეცემათ. უფრო კონკრეტულად კი, ეს დოკუმენტი იქნება სახელმძღვანელო 2011 წელს დაგეგმილი ყოველმხრივი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის სამომავლო ნაბიჯების იდენტიფიცირებისათვის.
2. ლაბორატორიულ სისტემაში არსებული ნაკლოვანებების შეფასების დოკუმენტი ლაბორატორიებში არსებულ სიტუაციას ასახავს და შეაფასებს შემდეგი მიმართულებებით: ლაბორატორიების აღჭურვილობა, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, დანერგილი დიაგნოსტიკური მეთოდები და ა.შ. ლაბორატორიების სისტემის ნაკლოვანებების ანალიზის აღნიშნული დოკუმენტი მომზადდება საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ახალი

კონტრაქტორის მიერ.[3] აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს მთავრობას 2010 წლის ბოლოსათვის წარედგინება.

ზემოაღნიშნული ორი დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს მთავრობა ლაბორატორიების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭირო სამომავლო ქმედებების იდენტიფიცირებას მოახდენს, ლაბორატორიებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის დახვეწისა და ასევე ლაბორატორიებსა და ეროვნულ სამსახურსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურს შორის არსებული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით.

V. საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზი და საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების მიზნით საქართველოს მთავრობის სამომავლო ქმედებები

საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა სურსათისა და ცხოველთა საკვების უვნებლობის ძირითადი პრინციპების ფორმულირებას ახდენს და ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. არსებობს რიგი საკითხები, რომლებსაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და, შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს ნორმატიული აქტების საერთაშორისო და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს იმ ნორმატიული აქტების შემუშავებაზე, რომლებიც სურსათის უვნებლობის სისტემის გამართვასა და საერთაშორისო და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისად განხორციელებას შეუწყობს ხელს.

[3] საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ახალი კონტრაქტორი CH2M Hill, თავის ქვეკონტრაქტორებთან (BATTLE, Curatio International Foundation) ერთად, ბიოლოგიური საშიშროების შემცირების პროგრამის (BTRP) ფარგლებში შექმნილი ლაბორატორიების ნაკლოვანებების ანალიზის დოკუმენტზე მუშაობს.

საქართველოს სანიტარიასა და ფიტოსანიატარიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა პირველადი და მეორადი კანონმდებლობისაგან შედგება. პირველადი კანონმდებლობა მოიცავს შესაბამის კანონებს, ხოლო მეორადი კანონმდებლობა – კანონქვემდებარე აქტებს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებებს, შესაბამისი სახელწიფო ორგანოების ხელმძღვანელების ბრძანებებს და ა.შ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ რადგან სანიტარიასა და ფიტოსანიტარიასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების კომპეტენციის სფეროში შედის (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სსიპ – შემოსავლების სამსახური, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი და სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო), სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების ცალკეული ბრძანებების ნაცვლად სანიტარიასა და ფიტოსანიტარიასთან დაკავშირებული მეორადი კანონმდებლობა საქართველოს მთავრობის დადგენილებებით უნდა შეიცვალოს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ევროკავშირის კანონმდებლობის ანალიზის შედეგად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება ეტაპობრივად განხორციელდეს. სახელმწიფო ინსპექტირების დაწყებამდე მომზადდა და მიღებული იქნა შემდეგი სახის სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება საწარმოთა რეგისტრაციის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის

ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველბის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების შემუშავებისას სამუშაო ჯგუფმა ევროკომისიის შესაბამისი ჰორიზონტალური დებულებები გაითვალისწინა (178/2001, 852/2004, 882/2004). აღნიშნულის მიზანი მეორადი კანონმდებლობის ევროკავშირის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და ჰიგიენის ნორმების, ინსპექტირების, ლაბორატორიული ტესტირებისა და მონიტორინგის მეთოდების სამართლებრივი დახვეწა იყო. წარმატებული კოორდინაცია ხელს შეუწყობს სახელმწიფო კონტროლის, მათ შორის, ინსპექტირების განხორციელებას. სამართლებრივი აქტები 2010 წლის ივლისამდე გამოიცა, ხოლო აღნიშნული ნორმატიული აქტებით დარეგულირებული ინსპექტირება 2010 წლის 1 ივლისს დაიწყო.

გარკვეული კატეგორიის ბიზნესოპერატორებისათვის ჰიგიენის გამარტივებული წესების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება 2010 წლის III კვარტალში გამოიცა.

მეორადი კანონმდებლობის შემუშავება ახლაც მიმდინარეობს. სამუშაო ჯგუფი ამჟამად მუშაობს სურსათის/ცხოველთა საკვების კრიზისის მენეჯმენტის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებულ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე, რომელიც 2010 წლის IV კავრტალში უნდა გამოიცეს. „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე მოიცავს კრიზისული მდგომარეობის მართვის საკითხებს, თუმცა ეს საკითხი უფრო დეტალურად უნდა იყოს დარეგულირებული საქართველოს კანონმ-

დებლობაში. საქართველოს მთავრობის დადგენილება სრულ შესაბამისობაში იქნება კომისიის №2004/478/EC გადაწყვეტილებასთან.

ამასთან, 2010 წლის განმავლობაში გარკვეული რესურსები გამოიყო „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შესატანად. აღნიშნული კანონები ცვლილებებს საჭიროებს, რადგან ევროკომისიის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არ არის. ამ კანონებში რიგი სამართლებრივი ხარვეზებია, მაგალითად: სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სრულად არ არის განმარტებული და ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობას იწვევს. საქართველოს კანონი „ვეტერინარიის შესახებ“ 1995 წელს, „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის შემუშავებამდე გამოიცა, ამიტომ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მისი შესაბამისობაში მოყვანა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ხოლო შემდგომ – ევროკავშირის მოთხოვნებთან.

„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონს შორის რამდენიმე შეუსაბამობაა. განსხვავებულად არის განმარტებული სახელმწიფო კონტროლსა და ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული განმარტებები, კერძოდ, „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ნახსენები არ არის, რომ ვეტერინარიის სფეროში კონტროლის განმახორციელებელი ორგანო ეროვნული სამსახურია. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონი გაცილებით ადრე გამოიცა, ვიდრე „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი და, შესაბამისად, რამდენიმე სამსახურის ერთ ეროვნულ სამსახურად გაერთიანება „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ნახსენები არ არის. აქე-

დან გამომდინარე, თავდაპირველად აუცილებელია ამ ორი კანონის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამ და სხვა ხარვეზების გამოსასწორებლად სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს ერთიან სამართლებრივ აქტს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკომისიის №178/2004 და №882/2004 რეგულაციებთან და ცხოველის და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სერტიფიკაციის შესახებ ევროკომისიის №96/93/EC დირექტივასთან. ახალი სამართლებრივი აქტი სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის შესახებ ზემოაღნიშნულ ორ კანონს გააერთიანებს და 2011 წლის I კვარტალში შევა ძალაში. მის მომზადებასა და მიღებას დაახლოებით 6 თვე (2010 IV კვ. – 2011 I კვ.) დასჭირდება.

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში შევა ცვლილებები შემდეგი მიზნების გამო:

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან მიახლოება;
- ზემოაღნიშნული ორი კანონის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა და მათ შორის არსებული კოლიზიების აღმოფხვრა;
- პრინციპებისა და ტერმინების განმარტების დახვეწა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მთავრობამ დადგენილებით დამტკიცდა „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესი და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“, თუმცა, ცხოველური წარმოშობის (მათ შორის, მაღალი რისკის პროდუქტზე) სახელმწიფო კონტროლის სრულფასოვანი იმპლემენტაციისათვის, უნდა შემუშავდეს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ჰიგიენის სპეციალური წესებისა და სახელმწიფო კონტროლის ორგანიზების სპეციალური წესების

შესახებ ნორმატიული აქტები. ამ მიზნით, 2011 წლის II კვარტალში მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესების შესახებ ევროკომისიის (№853/2004) რეგულაციასთან და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესების თაობაზე №854/2004 რეგულაციასთან. აღნიშნული სპეციალური წესების მიღებამდე გამოყენებული იქნება არსებული სპეციალური სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.

დღესდღეობით, ეტიკეტირებასა და სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების შესახებ რამდენიმე სამართლებრივი აქტი არსებობს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის ბრძანება „სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“, 2007 წლის ბრძანება „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის ბრძანება „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული სამართლებრივი აქტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევროკომისიის კანონმდებლობასთან, თუმცა, აუცილებელია ღიად დარჩენილი რიგი საკითხების დახვეწა. შესაბამისად, 2011 წლის III კვარტალში სამუშაო ჯგუფი აქტიურად იმუშავებს აღნიშნული საკითხების დახვეწასა და ევროკომისიის იმ კანონმდებლობასთან მიახლოებაზე, რომელიც ეტიკეტირებას, სურსათთან შეხებაში მყოფ მასალას, სურსათით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავების გამო აღძრულ საჩივრებს შეეხება. აღნიშნული კუთხით, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა №2000/13/EC დირექტივასთან და №1924/2006 და №1935/2004 რეგულაციებთან. საქართველოს მთავრობის დადგენი-

ლება ზემოთ აღნუშნული საკითხების შესახებ 2011 წლის III კვარ-
ტალში გამოიცემა.

ევროკავშირის კანონმდებლობის დიდი ნაწილი სანიტარიისა
და ფიტოსანიტარიის სფეროში მიკრობიოლოგიურ კრიტერიუმებს,
საკვებდანამატებს, ფერმენტებს, არომატიზატორებს, ნარჩენებს, ვი-
ტამინებს, მინერალებს შეეხება. აღნიშნულის რეგულირების მიზნით
2001 წელს გამოიცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „სასურსათო ნედლეული-
სა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტა-
რიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“. ეს ბრძანება
საკმაოდ ვრცელია და საკვებდანამატებს, მიკრობიოლოგიურ კრი-
ტერიუმებს, მავნე ნივთიერებებსა და სხვა მრავალ საკითხს მოი-
ცავს. თუმცა, აღნიშნული ნორმატიული აქტი საჭიროებს ევროკო-
მისიის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანას, რათა აღმოიფხ-
ვრას ისეთი საკანონმდებლო ხარვეზები, როგორებიცაა, მაგალი-
თად, განსხვავება საქართველოს კანონმდებლობასა და ევროკომი-
სიის რეგულაციებს შორის სურსათში დანამატების, მავნე ნივთიე-
რებისა და ორგანიზმების შემცველობის დონესთან დაკავშირებით,
ასევე განსხვავება დასაშვები საკვებდანამატების სახეობებთან და-
კავშირებით და ა.შ. ამ მიზნით, საკანონმდებლო მიახლოების პროგ-
რამის თანახმად, 2011 წლის IV კვარტალსა და 2012 წლის I, II, III
კვარტალებში მოხდება აღნიშნული ნორმატიული აქტის ევროკომი-
სიის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი მიახლოება. საკანონმდებლო
მიახლოების პროგრამის აღნიშნული ნაწილი ევროკავშირის 11 დე-
ბულებას მოიცავს და, შესაბამისად, ყოვლისმომცველ მუშაობას სა-
ჭიროებს.

2008 წელს გამოიცა საქართველის ფინანსთა მინისტრისა და
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძა-
ნება, რომელიც სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-სა-

კარანტინო კონტროლისა და სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის დანხორციელების წესს შეეხება. აღნიშნული ერთობლივი ბრძანება ევროკავშირის რეგულაციებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია. შესაბამისად, 2013 წლის I და II კვარტალებში მოხდება მისი ევროკავშირის შემდეგ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა: საბჭოს დირექტივა 97/78/EC; საბჭოს დირექტივა 89/662/EEC; საბჭოს დირექტივა 90/425/EEC; საბჭოს დირექტივა 91/496/EEC; საბჭოს დირექტივა 92/90/EEC.

2013 წლის III კვარტალში მოხდება საქართველოს კანონმდებლობის ევროკომისიის შემდეგ რეგულაციებთან მიახლოება:

- ევროკომისიის დებულება 183/2005 ცხოველთა საკვების ჰიგიენის მოთხოვნების შესახებ – ცხოველთა საკვების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები ასახული იქნება სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის შესახებ ერთიან კანონში (რომლის მიღებაც 2011 წლის I კვარტალში მოხდება), ხოლო რაც შეეხება ცხოველის საკვების ჰიგიენასთან დაკავშირებულ დეტალურ საკითხებს, ისინი მეორად კანონმდებლობაში აისახება და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდება;
- საბჭოს დირექტივა 89/108/EEC ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სწრაფგაყინვადი სურსათის შესახებ – აღნიშნული რეგულაცია ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციფიკური წესების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში იქნება ინტეგრირებული. როგორც აღინიშნა, მთავრობის ეს დადგენილება ძალაში შევა 2011 წლის II კვარტალიდან, ხოლო 2013 წლის III კვარტალში ამ დადგენილებას სწრაფგაყინვად სურსათთან დაკავშირებული საკითხებიც დაემატება;
- ევროკომისიის დირექტივა 1999/2/EC იონიზირებული სურსათისა და სასურსათო ინგრედიენტების შესახებ – აღნიშნულ საკითხზეც გამოიცემა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომე-

ლიც შეეხება იონიზირებული, დასხივებული სურსათისა და სასურსათო ინგრედიენტების დაფასოებასა და მოხმარებას.

2013 წლის IV კვარტალში შემუშავდება ცხოველის საკვებისა და მცენარეთა დაცვის პროდუქტის ბაზარზე განთავსების წესები. შესაბამისად, დამტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის შემდეგ რეგულაციენთან: 767/2009 ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსებისა და გამოყენების შესახებ და 1107/2009 მცენარეთა დაცვის პროდუქტების ბაზარზე განთავსების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე კვარტალში საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ევროსაბჭოს 2000/29/EC დირექტივასთან, რომელიც ეხება მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის წესებს.

საქართველოს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ცხოველური წარმოშობის პროდუქტსა და ცხოველების მოვლას/პატრონობას/შენახვას არეგულირებს, თუმცა ამ სფეროსთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების უმრავლესობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს. საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის თანახმად, 2014 წლის I, II და III კვარტალებში შემუშავდება ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტი, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილების სახით გამოიცემა. ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ევროკომისიის ძირითადი მოთხოვნები აღნიშნულ მთავრობის დადგენილებაში იქნება მოქცეული. რაც შეეხება სპეციფიკური ჯიშის ცხოველებისათვის სპეციფიკურ მოთხოვნებს, ისინი მიღებული იქნება საქართველოს მთავრობის დადგენილების სახით. აღნიშნული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება შესაბამისობაში იქნება ევროკომისიის შემდეგ დებულებებთან: ევროსაბჭოს დირექტივა 64/432/EEC, ევროსაბჭოს დი-

რექტივა 2002/99/EC, ევროსაბჭოს დირექტივა 91/68/EEC, ევროსაბ-ჭოს დირექტივა 90/426/EEC, ევროსაბჭოს დირექტივა 2009/158/EC, ევ-როსაბჭოს დირექტივა 2006/88/EC, ევროსაბჭოს დირექტივა 92/118/EEC, ევროსაბჭოს დირექტივა 92/65/EEC, ევროსაბჭოს დირექ-ტივა 2003/99/EC. ჩამოთვლილი დირექტივები არეგულირებს ცხო-ველების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთან, 2011 წელს მომზადდება საქართველოს კანონმდებ-ლობის ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოე-ბის პროგრამა, რომელიც მოიცავს ცხოველური წარმოშობის პრო-დუქტების მიხედვით ევროკავშირის რეგულაციებთან მიახლოების საკითხებს.

მცენარეთა დაცვის სფეროში რამდენიმე სამართლებრივი აქტი არსებობს (პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით), მაგრამ მათი უმეტესობა განახლებასა და ევროკავშირის მოთხოვნებთან შე-საბამისობაში მოყვანას საჭიროებს. საქართველოს კანონი „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ 1994 წელს იქნა მი-ღებული და აქედან გამომდინარე განახლებას საჭიროებს. 2014 წლის IV კვარტალი აღნიშნული კანონის დახვეწას დაეთმობა, რის შედეგადაც მოხდება მისი ევროკომისიის შემდეგ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა: ევროსაბჭოს დირექტივა 2009/128/EC პეს-ტიდიცების შეზღუდული რაოდენობის გამოყენების შესახებ და ევროკომისიის 396/2005 რეგულაცია სურსათში, მცენარეული წარმო-შობის ცხოველის საკვებსა და ცხოველური წარმოშობის პროდუქ-ტებში პესტიციდების შემცველობის დონისა და პესტიციდების მაქ-სიმალური ნარჩენების დონის შესახებ.

მოცემული ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში უკვე არსე-ბობს საკანონმდებლო ბაზა პირველადი და მეორადი კანონმდე-ბლობის სახით, რომლის საფუძველზე შესაძლებელია სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა, ძირითადი სავალ-

დებულო შემოწმებების ჩათვლით. ევროკავშირის ძირითად ჰორიზონტალურ რეგულაციებთან ეტაპობრივად მიახლოების შემდეგ შეიქმნება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფო ინსპექტირების ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის, მათ შორის, სასაზღვრო შემოწმებების განხორციელებისათვის.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება რთული პროცესია. აღნიშნული პროცესი დაახლოებით 4 წელი გაგრძელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო მიახლოების პროცესში აუცილებელია დინამიკური მიდგომის შემუშავება, რადგან ევროკავშირის სანიტარიისა და ფიტოსანიტარიის კანონმდებლობა ცვალებადია და მუდმივად განიცდის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობაც შესაბამისად უნდა დაიხვეწოს.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამუშაო ჯგუფმა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებულ ფინელ ექსპერტთან ერთად მოახდინა ვერტიკალური კანონმდებლობის იდენტიფიცირება, რომელიც აისახება საქართველოს კანონმდებლობაში. სამუშაო ჯგუფი მუშაობს ევროკავშირის ვერტიკალური კანონმდებლობის პრიორიტეტულობაზე და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით 2011 წელს შემუშავდება. ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოება პროდუქტების ტიპების მიხედვით განხორციელდება. სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესის პირველ ეტაპზე საქართველოს მთავრობა იმ პრიორიტეტულ პროდუქტებს განსაზღვრავს, რომლებზეც გავრცელდება ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები. პრიორიტეტული პროდუქტები იდენტიფყცირებული

იქნება ისე, რომ ხელი შეეწყოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გააქტიურებასა და საქართველოს პოტენციალის განვითარებას. პრიორიტეტულ პროდუქტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მიახლოება 2011 წლიდან 2012 წლამდე განხორციელდება. აღნიშნული პროცესის მეორე ეტაპზე ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის მიახლოების რიგითობა სხვა ტიპის პროდუქტებისათვის განისაზღვრება ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამის შემუშავებისას. ეს პროგრამა გახდება სამუშაო დოკუმენტი, რომლის ჩასწორება საჭიროებისა და ევროკავშირის კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად იქნება შესაძლებელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის ვერტიკალურ კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის მიახლოების ძირითადი პროცესი საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ჰორიზონტალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პარალელურად მოხდება.

VI. ტექნიკური დახმარება სურსათის უვნებლობის სფეროში

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვისათვის და არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად საჭირო რესურსების მოზიდვას.

სურსათის უვნებლობის მყარი და თანამედროვე სისტემის დანერგვისათვის საჭირო იქნება დამატებითი სახსრები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე დონორი ორგანიზაციებისგან. სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა პროექტს დონორი ორგანიზაციები, კერძოდ, ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები დააფინანსებენ.

ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციის მექანიზმს. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სამინისტროებისა და სააგენტოების, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA), ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრისა (GEPLAC) და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) წარმომადგენლებით. ამ ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ეფექტური ურთიერთკოორდინაცია.

საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია ხანგრძლივი, სისტამატური და მიზნობრივი თანამშრომლობა, რომელიც სამი ძირითადი მიმართულებით განვითარდება: 1. ინსტიტუციონალური ჩარჩოების გაძლიერება; 2. შესაძლებლობების გაზრდა და ტრენინგი; 3. ინფრასტრუქტურის შექმნა.

ეროვნული სამსახური ყოვლისმომცველი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროგრამას (CIB) 2011 წლიდან დაიწყებს და 2013 წლამდე გააგრძელებს. იგივე მოხდება სსიპ – შემოსავლების სამსახურის შემთხვევაშიც. ორივე მხარის დახმარების მექანიზმები ამ ინსტიტუტების საჭიროებებისაკენ იქნება მიმართული.

ეროვნული სამსახურის სამუშაო პროგრამა დაფუძნებული იქნება ესტონელი ექსპერტის მიერ გაკეთებულ ნაკლოვანებათა ანალიზზე. ანალიზის პროცესს ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობა და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia) დააფინანსებს და იგი დასრულდება 2010 წლის IV კვარტალში. სამუშაო პროცესის დაწყება 2011 წლის დასაწყისიდან იქნება შესაძლებელი.

ამ პროექტების დაწყებამდე, 2011 წელს, მოხდება ორივე ინსტიტუტის ადამიანური რესურსების პოტენციალის გაზრდა. აღნიშნული პროცესისათვის სამი ძირითადი დონორის ტექნიკური დახმარება იქნება გამოყენებული: ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) (პროექტის ხანგრძლივობა 2010 წლის მარტიდან 2012 წლის თებერვლამდე), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) (პროექტის ხანგრძლივობა 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის ივნისამდე); საქართველოში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) „სურსათის უვნებლობის პროექტი“ (პროექტის ხანგრძლივობა 2010 წლის მარტიდან 2013 წლის მარტამდე). ეს პროექტები მიმართული იქნება როგორც კადრების მომზადებისაკენ, ასევე ტრენერების გადამზადებისაკენ. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC) ორიენტირებული იქნება სურსათის უვნებლობის ინსპექტორებისა და მათი მენეჯერების ტრენინგზე. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) შეიმუშავებს სახელმძღვანელოებს ტრენერებისათვის. ხოლო საქართველოში საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) კადრების ტრენინგთან ერთად კერძო სექტორის წარმომადგენლებსაც მოამზადებს სურსათის უვნებლობის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ეროვნული სამსახურისა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის ინფრასტრუქურისა და აღჭურვილობის შეძენა სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების, განსაკუთრებით მსოფლიო ბანკის, დაფინანსებით მოხდება.

მსოფლიო ბანკმა დააფინანსა ეროვნული სამსახურის 10 ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობა, რომელიც 2011 წლის ბოლოს დასრულდება. აღნიშნულს ჯამში 680 000 აშშ დოლარი დასჭირდება. სსიპ – შემოსავლების სამსახურის

სასაზღვრო საინსპექციო პუნქტების სანიტარიული და ფიტოსანიტარიული შემოწმებისათვის საჭირო რესურსებისათვის ასევე მსოფლიო ბანკმა გამოყო თანხები (საჭიროა დაახლოებით 10 მილიონი აშშ დოლარი). ამ საკითხზე სახელმწიფო მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს. პორტებისა და აეროპორტების სასაზღვრო გამშვები პუნქტების სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ინფრასტრუქტურის დაფინანსება 2011 წელს განიხილება. სხვა სახის ინფრასტრუქტურული საჭიროებების შეფასება ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების ანალიზის საფუძველზე მოხდება.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონების ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესში სხვადასხვა ფორმის ტექნიკური დახმარება იქნება გამოყენებული. დამატებითი ტექნიკური დახმარების მოთხოვნა საჭიროებიდან გამომდინარე მოხდება.

სისტემური და გამართული დახმარების მექანიზმების შესანარჩუნებლად საქართველოს მთავრობა მომავალშიც განაგრძობს მეგობარ ქვეყნებსა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

VII. დასკვნა

სტრატეგია „ფერმიდან სუფრამდე“ პრინციპზე დაფუძნებულ სურსათის უვნებლობის სისტემისათვის საჭირო ყველა ელემენტს მოიცავს. სტრატეგია ეხება საქართველოს მთავრობის ხედვას და სამართლებრივი ბაზის შექმნის, ინსტიტუციონალური განვითარებისა და ადამიანური რესურსების პოტენციალის გაზრდის სამომავლო გეგმებს.

სტრატეგიაში მოცემულია სურსათის უვნებლობის მთლიანი ინსტიტუციური მოწყობა. მასში ასევე აღწერილია სხვადასხვა ინ-

სტიტუტების, მაგალითად, ეროვნული სამსახურის, სსიპ – შემოსავლების სამსახურის, ლაბორატორიების, სურსათის უვნებლობის სფეროში პოლიტიკის შემმუშავებელი ინსტიტუტების თანამშრომლობისა და კოორდინაციის მექანიზმები.

სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფო კონტროლი 2010 წელს დაიწყო და მისი განხორციელება ორ ეტაპად მოხდება. 2010 წლიდან შემოწმებას ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები ექვემდებარებიან. 2011 წლიდან, მეორე ეტაპზე ინსპექტირება ყველა ბიზნესოპერატორს შეეხება. ორივე ეტაპზე დაწყებული სახელმწიფო კონტროლი საქართველოს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობით დარეგულირდება. პარალელურ რეჟიმში მოხდება საქართველოს კანონების ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება.

სახელმწიფო კონტროლისათვის პასუხისმგებელი ინსტიტუტი ეროვნული სამსახურია. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო საზღვრო კონტროლს სსიპ – შემოსავლების სამსახური ახორციელებს. მნიშვნელოვანია აღნიშნული ორი სამსახურის თანამშრომლობა. უფრო მეტიც, ეროვნული სამსახური, სსიპ – შემოსავლების სამსახური, ლაბორატორიები და აკრედიტაციის ცენტრი შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ. ამ ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით საქართველოს მთავრობა დამატებითი რესურსების მოზიდვას აპირებს. საქართველოს მთავრობა თანამშრომლობს ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებთან და მათთან ერთად სისტემატური ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელებას გეგმავს.

სურსათის უვნებლობის სისტემის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად და მისი ევროკავშირის კანონებთან მიახლოების მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა და 2010-2014 წლებისათვის გაწერა. ამ პროგრამის მიზანია საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და

მცენარეთა დაცვის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. პროგრამაში მოცემულია ჰორიზონტალური საკანონმდებლო მიახლოებისათვის საჭირო ვადები, ნაბიჯები და რესურსები. ვერტიკალურ კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამა მომზადების პროცესშია და 2011 წელს დასრულდება.

სტრატეგიაში წარმოდგენილია ინსტიტუციური და სამართლებრივი ხარვეზების ანალიზი, აღწერილია პრიორიტეტები და სამომავლო ნაბიჯები. სურსათის უვნებლობის ინსტიტუციური სისტემის საჭიროებების შეფასებას ესტონელი ექსპერტი ახორციელებს და მას 2010 წლის IV კვარტალში დაასრულებს. სამომავლო ნაბიჯები და დონორების დახმარების საჭიროება ამ შეფასებაზე დაყრდნობით წარმოჩინდება.

სტრატეგია ასევე მოიცავს საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემის დასანერგად საჭირო ტექნიკური დახმარების გეგმებს.

სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა შესაძლებელია ჩასწორდეს ევროკავშირის საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად კი, ევროკავშირის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მუდმივად უნდა იყოს ასახული საკანონმდებლო მიახლოების პროგრამაში.

სტრატეგია მომზადდა ევროკომისიისა და შესაბამისი ექსპერტების, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. სტრატეგია სახელმწიფო დოკუმენტს წარმოადგენს, რომელსაც ამტკიცებს და რომელშიც ცვლილებები შეაქვს საქართველოს მთავრობას.